ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



ლევან ალაფიშვილი: „სასამართლო სისტემა სერიოზულად არის ავად“ გვ.3

25 დეკემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ხუთშაბათი, 27 დეკემბერი, 2018 №307 (7852) ფასი: 60 თეთრი

# „მომავალ წელს კალაძე თანამდებობას დატოვებს“



გვ.2




ლევან ხაბეიშვილი: „თბილისის მერს რომ ეგონა, სკაიპით თოვლის ბაბუას ელაპარაკა, ის თოვლის ბაბუა მე ვიყავი“



## ზაქარია ქუცნაშვილი: „უზენაესი სასამართლოს კანდიდატების დასახელებისას კონსტიტუცია დაირღვა“



ანა დოლიძის ინფორმაციით, უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატებზე საერთაშორისო თანამეგობრობა კრიტიკულ შეფასებებს გეგმავს გვ.4



## ექსპერტები სუსის მიერ წარდგენილ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას დადებითად აფასებენ

გვ.5

გვ.4



## ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

### სამართალი



## მამა-შვილ აბულაძეებს 15 ადამიანი სცემდა და 10 გვერდში ედგა

გვ.7

წავკისის მკვლელობის საქმე





## ლევან შონიას ბრალი წაუყენეს

## ქართველი ქურდი კახა გალსკი რუსეთში ქალთა ზონაში ჰყავთ





### ეკონომიკა



## საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებმა ანაზღაურება კიდევ ერთხელ გაიზარდეს

გვ.5



## ქიაბერაშვილი: „გაზის ტარიფზე სემეკის დღევანდელი გადაწყვეტილება მთავრობის ცინიზმს ავლენს“

გვ.4



## ზურაბ ჯაფარიძე: „ეკონომიკის მინისტრი კიდევ დიდხანს დაგვტოვებს წუმპეში“

გვ.6

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 ხაჯიმბას ანქვაბის ეშინია

7 კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა შიმშილობა შეწყვიტეს

8 დონბასი: რუსეთი ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებს?!

3 კახა მიქაია: „ივანიშვილი გარემოცვამ და მრჩევლებმა მოატყუეს“

# სემეკმა გაზის ტარიფი შეამცირა

ნონა ცაბაძე

ბოლო კვირაა, საზოგადოება სემეკის გუშინდელ სხდომას ელოდა, სადაც ბუნებრივი აირის ახალი ტარიფი უნდა დაედგინათ. განაცხადი რამდენიმე კომპანიას ჰქონდა შეტანილი და ისინი ტარიფის მატებას ითხოვდნენ. ოპოზიციაც გამუდმებით საუბრობდა ტარიფის მატებაზე და ხელისუფლებას მწვავედ აკრიტიკებდა.

მოხდა ის, რასაც ალბათ არავინ ელოდა – სემეკმა თბილისში ბუნებრივი აირის ტარიფი შეამცირა.

ცვლილებები 0.014 თეთრს შეადგენს. ამჟამად ბუნებრივ აირზე თბილისში მოქმედი სამომხმარებლო ტარიფი 46.153 თეთრია. ახალი გადაწყვეტილებით კი დედაქალაქში სამომხმარებლო ტარიფი 1 კუბურ მეტრზე 46.139 თეთრი იქნება. ახალი ტარიფი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით იქნება ძალაში და ის ყაზტრანსგაზ თბილისის აბონენტებს შეეხებათ.

**გოჩა შონია, სემეკის წევრი:**

– ტარიფის შემცირება განაპირობა იმან, რომ განაწილების ტარიფი შემცირდა 1,3 თეთრით, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ნორმატიული დანაკარგების შემცირებით. კომისია ადგენს დანაკარგების განაკვეთებს კომპანიებისთვის 5-წლიან პერიოდზე. მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ეს დანაკარგები შემცირდა და, შესაბამისად, დანაკარგების შემცირებამ გამოიწვია განაწილების ტარიფის შემცირება. თუმცა გაიზარდა მიწოდების ტარიფი.

***– რამდენით გაიზარდა?***

– მიწოდების ზრდა იყო დაახლოებით 1,3 თეთრი და, შესაბამისად, ამ ორმა კომპონენტმა ერთმანეთი დააბალანსა. ჯამში კი სამომხმარებლო ტარიფი შემცირდა 0.014 თეთრით. აქედან გამომდინარე, ახალი გადაწყვეტილებით, დედაქალაქში სამომხმარებლო ტარიფი 1 კუბურ მეტრზე ნაცვლად 46.153 თეთრისა, იქნება 46.139 თეთრი.



„ახალი თაობა“ ენერგეტიკოსს, უმრავლესობის დეპუტატ **რევაზ არველაძეს** ესაუბრა.

***– ბატონო რევაზ, კომპანიებმა ტარიფის მატების მოთხოვნით მიმართეს სემეკს, მაგრამ მოხდა პირიქით, სემეკმა ტარიფები შეამცირა. რა მოხდა?***

– სემეკმა იმიტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ შეცვლილიყო სამომხმარებლო ტარიფი, აქ აქტიურად ჩაერთო მთავრობა და გამანაწილებელი კომპანიებისათვის მისაწოდებელი გაზის ფასი შემცირდა. ამან დააკომპენსირა ის, რასაც ითხოვდნენ გამანაწილებელი კომპანიები. ეს იყო ძირითადი მიზეზი.

***– სუბსიდირებასთან გვაქვს საქმე მთავრობის მხრიდან?***

– ასე გამოდის.

***– ბიუჯეტის ხარჯზე?***



– არა, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ხარჯზე. ამას გაზის ტრანსპორტირების კომპანია გადაიხდის. შესაბამის მოლაპარაკებას აწარმოებს აზერბაიჯანულ მხარესთან და მის მიერ მიწოდებული გაზის ფასი შემცირდება.

***– აღნიშნული ტარიფი დარჩება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში?***

– დიახ, სემეკი წელიწადში ერთხელ ადგენს ახალ ტარიფს. 2019 წლის 31 დეკემბრამდე შენარჩუნდება აღნიშნული ტარიფი. შემდეგ გამოჩნდება რა და როგორ.

***– ანუ შესაძლოა შემდეგ მატება იყოს?***

– ეს მერე გამოჩნდება. ძალიან ბევრი რამ იცვლება ხოლმე. ამ შემთხვევაში ინვესტიციებსა და მისთვის განსაზღვრულ თანხებზე საუბარი არ ყოფილა, ინვესტიციები წინასწარ იცი, სამი წლის განმავლობაში რა იქნება, მაგრამ საინტერესოა, როგორი იქნება ლარის კურსი დოლართან მიმართებაში, როგორი იქნება გაზის ფასი საერთაშორისო ბაზარზე და ამ ფასს რას უზამს აზერბაიჯანული მხარე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეუძლებელია, ზუსტი პროგნოზი გააკეთო, რა იქნება ერთი წლის შემდეგ. ამიტომ დგინდება ერთწლიანი ტარიფი.

***– აქ საუბარია ყაზტრანსგაზ თბილისის აბონენტებზე, რომელიც თბილისელებს აწვდის გაზს. რა იქნება რეგიონებში, მათ გაუძვირდებათ ტარიფი?***

– ტარიფი არც რეგიონის აბონენტებისთვის იზრდება. ამ შემთხვევაში საუბარია, რომ ტარიფი დარჩეს უცვლელი.

***– დენის ტარიფთან დაკავშირებითაც ხომ არ უნდა ველოდეთ რაიმე ცვლილებას?***

– არა, ამ კუთხით არანაირი ცვლილებები არ არის.

# „მომავალ წელს კალაძე თანამდებობას დატოვებს“

## ლევან ხაბეიშვილი: „თბილისის მერს რომ ეგონა, სკაიპით თოვლის ბაბუას ელაპარაკა, ის თოვლის ბაბუა მე ვიყავი“

შორენა მარსაგიშვილი

25 დეკემბერს დედაქალაქის საკრებულოში დიდი მხიარულება იყო. დეპუტატებმა ქალაქის თავის, კახა კალაძის წარდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი ზარზეიმით დაამტკიცეს.

სხვანაირად არც უნდა მომხდარიყო, მაგრამ კალაძე მაინც გადაირია სიხარულით. ისე გადაირია, რომ ბიუჯეტის დამტკიცების მეორე დღეს ამბობდა, თოვლის ბაბუას სკაიპით ველაპარაკეო.

ბიუჯეტის პროექტის განხილვას ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ დასწრებიან. მათ ქალაქის თავს არჩევნებთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა და იმის გარკვევას შეეცადნენ, რატომ გაყალბდა არჩევნები.

ამ კითხვამ მერი და შედარებით დაბალი რანგის მეოცნებეები ააკისკისა. კისკისი ეგრე არ გინდათო და ნაციონალებმა სხდომა დატოვეს, მხიარულ კომპანიას კი სულ მეტაშეები ეძახეს.

რატომ არ ჰქონდა აზრი სხდომაზე დარჩენას, რატომ არიან უმრავლესობის წევრები მეტაშეები, რატომ დაუსვეს კითხვა კალაძეს არჩევნებთან დაკავშირებით? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.




**ლევან ხაბეიშვილი:**

– სხდომიდან გამოსვლის შემდეგაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ კახა კალაძე ბოლო სამი თვის განმავლობაში გასული იყო მომსახურების ზონიდან. ის „ოცნების“ და სალომე ზურაბიშვილის სპიკერის მოვალეობას ასრულებდა.

ცოტა ხნის წინ ის ვარდისფერი ქუდით დაგვიბრუნდა, საკრებულოს სხდომაზეც ვარდისფერებში იყო მოსული. ამჯერად, ვარდისფერი ქუდის ნაცვლად, ვარდისფერი სათვალე ეკეთა. ის უკვე დიდი ხანია, რაც რეალობას ვარდისფერი სათვალიდან უყურებს.

ჩვენ ვნახეთ მისი ერთი წლის ანგარიში, სადაც ამბობს, რომ ყველაფერი კარგად არის. რა კითხვებიც იყო ბიუჯეტთან დაკავშირებით, კომისიების სხდომებზეც ყველა კითხვა დავსვით. უბრალოდ, ეს საკრებულო ხომ არ არის, ესაა ნოტარიუსთა პალატა, სადაც საბოლოო ჯამში, მაინც იმ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რაც უმრავლესობას ჰქონდა. უმრავლესობას რა აზრი ჰქონდა, ხომ ვნახეთ: გამარჯობა – ტაში, ნახვამდის – ტაში, შუაში კიდევ რამდენჯერმე ტაში. ფაქტობრივად, მეტაშეები ჰყავთ საკრებულოში დეპუტატების ნაცვლად.

ეს ხალხი არასდროს არ უსმენს ოპოზიციას. ჩვენ მერიას არაერთი ინიციატივა მივწერეთ, მაგრამ მათ ეს ინიციატივები არც კი განუხილავთ.

***– არჩევნებთან დაკავშირებით რატომ დაუსვით მერს კითხვა?***

– გარდა იმისა, რომ კახა კალაძე თბილისის მერია, ის „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანია. ამიტომაც დავუსვი კითხვა არჩევნებთან დაკავშირებით, ეს კითხვა ყველა ჩვენს მხარდამჭერს აინტერესებს და მე მათი სახელით დავსვი ეს კითხვა.

ამაზე საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა სიცილი დაიწყეს. მათ სასაცილოდ არ ჰყოფნით ის ფაქტი, რომ ხალხს არჩევანი მოჰპარეს. იცინიან, არადა, მათაც ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნები გაყალბდა. ტელევიზიით ვნახეთ, როგორ ყრიდნენ ურნებში ბიულეტენებს, მოსყიდვასა და დაშინებაზე არაფერს ვამბობ. ამის მიუხედავად, „ოცნება“ მაინც იცინის, ხორხოცებს.

მათ სიცილი არც მაშინ შეუწყვეტიათ, როცა კონკრეტული მაგალითები მოვუყვანე. არც იმ ფაქტმა შეაწუხა, რომ არჩევნებს ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არც ის აინტერესებთ, ჩვენი თანამებრძოლი მძიმედ რომ არის დაჭრილი. მარტო კალაძე კი არა, ეგენი ყველანი ვარდისფერი სათვალეებით უყურებენ რეალობას.

***– თქვენს პროტესტს რა აზრი ჰქონდა, უმრავლესობა ბიუჯეტის პროექტს თქვენ გარეშეც უპრობლემოდ იღებს.***

– ეს იყო ჩვენი პროტესტი, რომ დავრჩენილიყავით, რა შეიცვლებოდა. იმისთვის უნდა გვედევნებინა თვალი, როგორ უყურებს კალაძე ვარდისფერი სათვალეებით მოვლენებს.

სხდომის დატოვება შეიძლება ეფექტური არ იყოს, მაგრამ მეტი ფორმა რა მოგვენახა, დეპუტატები ვართ და ყირაზე ხომ არ გადავიდოდით. თანაც არანაირი სურვილი არ გვქონდა, მონაწილეობა მიგვეღო ამათ პროცედურულ დემოკრატიაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა არჩევნების შედეგებს არ ვაღიარებთ და მასზე ვამბობთ, რომ გაყალბდა.

***– თქვით, რომ „ოცნება“ ახორხოცდა, როცა იკითხეთ, არჩევნები რატომ გაყალბდაო. კალაძემ რა გიპასუხათ ამ კითხვაზე?***

– კალაძეც იცინოდა და კისკისებდა. მან ამით მე, ლევან ხაბეიშვილს კი არ დამცინა, არამედ ის 205.000 თბილისელი აიგდო აბუჩად, რომელმაც ოპოზიციას მისცა ხმა. ამათ ჰგონიათ, რომ ჩემთან არიან კონფლიქტში, სინამდვილეში თბილისელებს უპირისპირდებიან.

კალაძემ ერთი რამე კარგად უნდა იცოდეს, რომ ოპოზიციამ ბევრად მეტი ხმა აიღო, ვიდრე მან. რა ლეგიტიმაციითაც კალაძეა არჩეული, იმაზე მეტი ხმები აქვს ოპოზიციას. ესენი მაინც ვერ იყურებიან თვალებიდან. თვალებიდან რომ იყურებოდნენ, არჩევნების გაყალბების თემა სასაცილო არ უნდა ყოფილიყო.

***– ამის შემდეგ რას აპირებთ?***

– ბიუჯეტს ჩვენ გარეშეც იღებენ. ჩვენ ჩვენი მხრიდან გავაგრძელებთ პრესინგს, რომ ამ ხალხს არ მივცეთ მეტის საშუალება. ბიუჯეტი ჯერ ისედაც შარვალ-კოსტუმივით აქვთ მორგებული და ოპოზიცია რომ არ იყოს, ალბათ მთლად თავზე ჩამოიცვამდნენ.

გავაგრძელებთ პრესინგს საკრებულოსა და მერიაზე, რომ იქნება ცოტა ნაკლებად გამოხრან. იქნებ ან ნამუსზე ავაგდოთ, ან მცირედით მაინც გამოვასწოროთ.

***– კალაძის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოსწორება სახეზეა – შარშან ნაძვის ხეზე გიპირებდათ დაკიდებას, წელს თქვენს კითხვაზე მხოლოდ გადაიკისკისა.***

– მართალია, ახლა ძველ ჯანზე ველარ იყო და მთლად ეგეთი მაგარი ბიჭი ველარ იყო.

***– მომავალ წელს ალბათ უფრო ლმობიერი იქნება.***

– ვნახოთ. მომავალ წელს ალბათ თბილისის მერი აღარ იქნება. ამას თავადაც გრძნობს და ამიტომ აკეთებს



არაადეკვატურ განცხადებებს. გამოვიდა და სრული სერიოზულობით განაცხადა, თოვლის ბაბუას სკაიპით ველაპარაკეო. მაგას ეგონა, რომ თოვლის ბაბუას ელაპარაკებოდა, სინამდვილეში ის თოვლის ბაბუა მე ვიყავი.

მომსახურების ზონიდან გასული ქალაქის მერი საზეიმო ღონისძიებებში 2.300.000 ლარის დახარჯვას აპირებს.

***– ამასთან დაკავშირებით თქვენ ადრეც გააკეთეთ განცხადება და აღნიშნეთ, რომ საზეიმო ღონისძიებებში 2 მილიონის დახარჯვა იგეგმებოდა. კალაძემ ამის პასუხად განაცხადა, რომ საახალწლო ღონისძიება მხოლოდ მილიონი ლარი დაჯდებოდა.***

– კალაძე იმასაც ამბობს, რომ თოვლის ბაბუას სკაიპით ელაპარაკა. 20 დეკემბერს პრემიერმა გამოსცა განკარგულება, 1.700.000 ლარი გამოჰყო ტენდერის გარეშე, რომ საახალწლო ღონისძიებებისთვის დახარჯოს კახი კალაძემ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ განკარგულებაში წერია, რომ 1.758.800 ლარი დაიხარჯება ჰონორარებისთვის.

საზოგადოებისთვის რომ კარგად გასაგები იყოს, 1.700.000 ლარს დავხარჯავთ მომღერლებისთვის, მაშინ, როცა ათეულობით ათასი ბავშვი შიმშილობს, მაშინ, როცა

1.700.000 ლარი 4.000 სოციალურად დაუცველისთვის საკმარისია, რომ წლიდან წლამდე გამოიკვებონ.

მოვუწოდებთ დედაქალაქის მერს, უარი თქვას ამ გადაწყვეტილებაზე და თბილისელებს ნუ გადაახდევინებს ხარკს კონკრეტული მომღერლებისთვის, რომლებიც ემსახურებოდნენ „ქართულ ოცნებას“ და სალომე ზურაბიშვილს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი გარემოცვამ და მრჩევლებმა მოატყუეს“

## კახა მიქაია: „ქართული ოცნება“ ლესიჭინეს „ლოკომოტივია“, გახარია მათ ფონზე პელეა“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არის აუცილებელი ეკონომიკის მინისტრის გამონათქვამების კრებულად გამოცემა, რა უნდა გააკეთოს ივანიშვილმა, როგორ გადაიქცა „ოცნება“ ლესიჭინეს „ლოკომოტივად“, ვინ არის მმართველ გუნდში პელე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

***– ჩვენ საზოგადოებას ბევრი უცნაურობა უნახავს და ახსოვს, მაგრამ ის განცხადებები, რასაც ეკონომიკის მინისტრი აკეთებს, ყველაფერს აცდენილია. რაში სჭირდება ასეთი მინისტრი „ოცნებას“?***

– რაში სჭირდება, არ ვიცი, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული –

დაუყოვნებლივ უნდა გამოიცეს ქობულიას „სხარტულების“ კრებული და სამუდამოდ დაიდოს ბინა ქართული ზეპირსიტყვიერების ოქროს ფონდში.

იმდენად პოპულარულია ქობულია თავისი გამონათქვამებით, რომ მან „ოცნების“ პელეს – გახარიასაც კი აჯობა.

***– გახარია რატომ არის პელე?***

– იმიტომ, რომ მაგარია.

***– რაშია მაგარი?***

– „ოცნების“ ფონზე ნამდვილად პელედ გამოიყურება. ამის შესახებ ფეისბუქზეც დავწერე. ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მისაყვედურა, პელეს რატომ შეადარეო. მასაც ვუთხარი და თქვენთანაც გავიმეორებ – ნუ იქნება პელე, იბრაჰიმოვიჩი იყოს.

***– მოდით, ისევ პელე იყოს, იბრაჰიმოვიჩი მხოლოდ ერთია და მისი მსგავსი ვერავინ იქნება.***

– სერიოზულად თუ გინდათ რომ გითხრათ, არც გახარია არ არის ბოლომდე პელე. ის პელედ ამათ ფონზე გამოჩნდა. თავად მთელი „ოცნება“ ლესიჭინეს „ლოკომოტივია“. ეს მინისტრი ამათთან შედარებით უფრო ცოცხალი პოლიტიკოსია.

***– და ეს არაცოცხალი პოლიტიკოსები საიდან მოიყვანა ივანიშვილმა?***

– ლესიჭინედან. ქვეყანაში ძალიან რთულად არის საქმე. პირდაპირ ვიტყვი, 2020 წლისთვის თუ ივანიშვილმა რადიკალური ცვლილებები არ განახორციელა, ის არჩევნების მოგებას ველარ შეძლებს.

„ქართულ ოცნებასაც“ მართებს საქმის კეთება. მათ ტყუილად ჰგონიათ, რომ მხართეძოზე წამოწვებიან და ნაციონალებს ისევ ხალხი მოუგებს არჩევნებს. გარწმუნებთ, ეს ასე აღარ იქნება.

საქმის კეთება არ უნდათ და მხოლოდ იმას გაიძახიან, რომ მგელი მოვა, მგელი მოვა. ერთ დღეს მართლა მოვა ეს მგელი. და მერე ვის დააბრალებენ ამას, ხალხს? იქნება მეც კი დამაბრალონ.

***– მე არ გამიკვირდება, თქვენ რომ დაგაბრალონ. რამდენიმე წლის წინ თქვენ ზუგდიდის საკრებულოდან გაგრიცხეს, ნაცებს კი ჩაეხუტნენ.***

– ნაცებთან ჩახუტების გამო იტყვის უარს ხალხი მაგათზე. 2020 წლისთვის აქ თუ სერიოზული რეფორმები არ გატარდა და ვითარება უკეთესობისკენ არ შეიცვალა, საქართველოში შეიქმნება ახალი ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს. ეს ძალა ნაციონალებსაც დაუპირისპირდება.

არ შეიძლება ქოც-ნაცური „დაპირისპირება“ წლობით გაგრძელდეს და ამ „დაპირისპირების“ გამო ქოცები სულ ხელისუფლებაში იყვნენ, ხოლო ნაცები – მთავარი ოპოზიცია. დაუსრულებლად ამის გაგრძელება არის შეუძლებელი.

ამიტომ ვამბობ, რომ ივანიშვილმა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს რადიკალური ცვლილებები. ცვლილებები ყველა მიმართულებითაა საჭირო.

***– ცვლილებების გატარებას მთავარი მეოცნებე ერთი წლის ვადაში დაგვპირდა. ამ 1 წლიდან 1 თვე გავიდა. შეძლებს დარჩენილ 11 თვეში დანაპირების შესრულებას?***

– არ მივეკუთვნები საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ამბობს, რომ 6 წელში არაფერი გააკეთა და 1 წელში რას იზამსო. სწორად გამიგეთ, არ ვარ სკეპტიკოსი და მინდა, რომ მართლა განხორციელდეს ცვლილებები.

ეს ცვლილებები მარტო ივანიშვილს არ სჭირდება, ეს ცვლილებები ქვეყნის განვითარებისთვის არის აუცილებელი.

საშველი თუ არ იქნა და ივანიშვილმა ამ გუნდით და ასე თუ გააგრძელა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად დამარცხდება.

***– ვისთან დამარცხდება, ნაციონალებთან თუ იმ ძალასთან, რომელიც, თქვენი თქმით, 2020 წლისთვის შეიქმნება?***

– აქედანვე გამოვრიცხავ, რომ ნაციონალური მოძრაობა ოდესმე უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში. ნაცებს ტყუილად აქვთ მიშას დაბრუნების იმედი. ეს იმ შემთხვევაშიც არ მოხდება, ივანიშვილმა საერთოდ არაფერი რომ არ გააკეთოს. ნაცებს არც მაშინ ექნებათ შანსი, ქვეყანაში კიდევ უკან-უკან რომ წავიდეს საქმე.

ნაცების რეანიმაცია არ იქნება და საქართველოში სრულდება ის დრო, როცა ხელისუფლება მარტო ერთი პარტიის ხელში იყო.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 2020 წლის არჩევნების მერე ჩვენ მრავალპარტიულ პარლამენტს მივიღებთ. ამ არჩევნებში ივანიშვილი, ნაცების მსგავსად, დამარცხდება.

კიდევ ერთი, მთავარი მეოცნებე თუ ფიქრობს, რომ ისევ გააყალბებს არჩევნებს და არჩევნებამდე ამ ფორმატით მივა, ეს იქნება მისი პოლიტიკური კარიერის დასასრული.

***– ალბათ ამ ფორმატით აპირებენ გაგრძელებას. თამარ ჟვანიას შემთხვევით არ აირჩევდნენ კიდევ ერთხელ ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე.***

– თამარ ჟვანია შემთხვევით არ დაუნიშნავთ, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლება 2020 წელსაც იგივე მეთოდების გამოყენებას აპირებს. ძალიან არ მინდა სკეპტიკოსი ვიყო, ამიტომ მჯერა, რომ ბევრი რამე გამოსწორდება.

არ გამოსწორდება და საკუთარ თავს დააბრალონ. მე მეძახიან მტერს და ამ დროს ძირს



„სასწრაფოდ გამოიცეს გიორგი ქობულიას სხარტულების კრებული“

პორტირებული ნაცები უთხრიან.

მათ გასაგონად მინდა გავიხსენო არჩევნები, რომელიც პირველ ტურში პირწმინდად წააგო ივანიშვილმა. ნაცებს არ ჰყავთ ამხელა ელექტორატი, მაგრამ მათ ბევრი ხმა მიიღეს. ეს ძირითადად გაბრაზებული მოსახლეობა იყო.

მეორე ტურში უპრეცედენტო რამე მოხდა და პირველ ტურთან შედარებით მეტი ამომრჩეველი გამოვიდა. ხალხი ნაცების შესაძლო დაბრუნებამ შეაშფოთა და ამიტომ მისცა ზურაბიშვილს ხმა. ნაცების რეანიმირება რომ არ მოხდა, ეს ხალხის დამსახურებაა.

2020 წლისთვის რამე თუ არ შეიცვალა, ხალხი „ოცნებას“ არჩევნებს აღარ მოაგებინებს.

***– თუ ასარჩევი არავინ იქნა და ისევ ნაცებსა და ქოცებს შორის მოუწია არჩევანის გაკეთება, მაშინ რას იზამს ქართველი საზოგადოება?***

– რას ჰქვია ასარჩევი თუ არავინ გამოჩნდა? ასეთი რამე, უბრალოდ, გამორიცხულია.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ მესამე ძალა გამოჩნდება?***

– რას ჰქვია მერე ეს მესამე ძალა? მესამე ძალა ციდან კი არ ჩამოვარდება, ასეთი ძალა ძალიან მარტივად შეიქმნება და ხალხი მას დაუჭერს მხარს.

ქართული პოლიტიკური სპექტრი მრავალფეროვანია, ივანიშვილმა რამე თუ არ შეცვალა, აქ სიტუაცია ისე დაიძაბება, რომ ხალხის გასაერთიანებლად თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედრის გამოჩენა აღარ იქნება საჭირო.

***– აქამდე სულ მესიის მოლოდინში ვიყავით და შეველევით ამას?***

– მესია საჭირო აღარ იქნება. ხალხის ხმები სხვადასხვა პარტიებზე გადანაწილდება. ამით საქართველო მოიგებს, ის მრავალპარტიულ არჩევნებს მიიღებს, „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი კი დამარცხდებიან.

***– ივანიშვილი შეგნებულად მიდის მარცხზე თუ მრჩევლები არ უვარგა, რომ რაიმე ღირებული ურჩიონ?***

– პირველ ტურში ივანიშვილს მისი მრჩევლები უმტკიცებდნენ, შენ გაქვს ჭარბი ნდობა, არ ინერვიულო, ზურაბიშვილი 53%-ით მოიგებს არჩევნებსო. რაც მოხდა, ყველამ ნახეთ.

აქ მრჩევლების სიკარგე და სიცუდე არაფერ შუაშია. შენ უნდა გააანალიზო და თავად უნდა მიხვდე, რა მდგომარეობაში ხარ და რა შეიძლება მოხდეს. ასე რომ, ივანიშვილმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალოს.

***– კონკრეტულად რა უნდა დააბრალოს?***

– ჯერ ის, რომ ასეთი მრჩევლები აიყვანა და მერე მათი სიტყვების რომ დაიჯერა.

***– გარემოცვაზე რაღას იტყვით?***

– იგივეს, რასაც მრჩევლებზე. მათ ერთობლივად შეიყვანეს „ოცნების“ ლიდერი შეცდომაში.

***– შეგნებულად მოატყუეს ლიდერი თუ თავადაც ვერ გათვალეს?***

– ივანიშვილის მრჩევლების და გარემოცვის ნაწილი დიდი ჭკუით არ გამოირჩევა. მათ ასევე აქვთ გადახრები.

***– რა გადახრები?***

– გადახრები ნაცებისკენ. გადახრილების პერსონიფიცირებას არ მოვახდენ. ისინი შეიკრნენ და ბოლოს მივიღეთ ასეთი რჩევა – გაქვს ჭარბი ნდობა და არჩევნების მოგება პრობლემა არ იქნება.

პირველი ტურის შედეგებმა ივანიშვილი სრულიად სხვა რეალობის წინაშე დააყენა. ის თუ ამ რეალობიდან არ გამოიტანს დასკვნებს და არ მოახდენს ცვლილებებს, 2020 წლისთვის მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდება.

***– დასკვნები ეტყობა ჯერ არ გამოუტანია. წინააღმდეგ შემთხვევაში მრჩევლებს შეცვლიდა.***

– იმედია, შეცვლის. მან მრჩევლებად ისეთი ხალხი უნდა დანიშნოს, ვინც ვაზელინის არ გადაისვამს თავზე და არ მოატყუებს.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი შესაძლოა პრემიერად დაბრუნდეს. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?***

– ამაზე მართლაც მიდის საუბარი. ეს არის ფართოდ გავრცელებული ვერსია, რომელსაც ყველა მიესალმება.

***– თქვენი აზრით, უნდა დაბრუნდეს თუ არა?***

– ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ის აუცილებლად უნდა დაბრუნდეს მთავრობის მეთაურად და თავად ჩაუდგეს პროცესებს. ყველაფერზე პასუხს მაინც მას სთხოვენ და ჯობია, პრემიერი იყოს. ეს ქვეყანასაც წაადგება და მასაც.

***– ივანიშვილის მთავრობაში დაბრუნების შემთხვევაში „ოცნებაში“ პელე ისევ გახარია იქნება?***

– პელე იქნება ბიძინა, გახარია კი იბრაჰიმოვიჩი.

***– იქნება არ უნდა ამ გახარიას იბრაჰიმოვიჩობა?***

– რას ჰქვია არ უნდა? თავის საქმეში იბრაჰიმოვიჩია და ვერაფერს იზამს.

***– ბატონო კახა, სამეგრელოში ბოლოდ დროს საინტერესო ამბები დაიწყო. ხმაურიანი დაჭერების შემდეგ, პასუხისგებაში მისცეს სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი შონია. ამაზე რას ფიქრობთ?***

– რას ვფიქრობ და მივესალმები კორუფციის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას. ლევან შონიას პასუხისგებაში მიცემა ამ ბრძოლის დაწყების ნიშანია. იმედი მაქვს, ეს ბრძოლა მთელი საქართველოს მასშტაბით გაგრძელდება. ეს ნამდვილად იქნება კარგი ცვლილება.

# ლევან ალაფიშვილი: „სასამართლო სისტემა სერიოზულად არის ავად“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურებზე იუსტიციის საბჭომ საზოგადოების აზრი უნდა გაითვალისწინოს. რამდენად შესაძლებელია წარდგენილი კანდიდატები პარლამენტმა არ დაამტკიცოს?***

– შეიძლება დაამტკიცოს, შეიძლება არ დაამტკიცოს. თუმცა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია თუ როგორ მოვედით ამ მოცემულობამდე. პარლამენტს თავის დროზე უნდა ეფიქრა ამ საკითხზე, ამისთვის ყველაზე მეტი შესაძლებლობა მათ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღების დროს ჰქონდათ. თუმცა, მაშინ საკუთარ პოლიტიკურ გემოვნებაზე კონსტიტუციის მორგებამ მიგვიყვანა აქამდე. მე არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ თავის დროზე შეგნებულადაც გაკეთდა ეს ყველაფერი. დღეს მართვის სადავეები სრულად იუსტიციის საბჭოს ხელშია, იმ საბჭოს შემადგენლობის, რომელიც საზოგადოებამ კარგად იცის.

ყველა საერთაშორისო შეფასებით, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან დაწყებული გვეუბნებიან, რომ ჩვენი უმთავრესი პრობლემა სასამართლო სისტემაა. ქვეყანაში მოქალაქეს უნდა ჰქონდეს კონსტიტუციური მექანიზმი, რომელიც პოლიტიკის მიღმა იქნება. დამოუკიდებელი, პოლიტიკის მიღმა მყოფი სასამართლო საჭირო არის პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების დასაცავად. ამის სანაცვლოდ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ!

ამიტომ, ახლა ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის განცხადება, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა მზია თოდუამ გააკეთა. ეს განცხადება თავისთავად ძალიან ბევრ რაღაცას ნიშნავს ჩემთვის.

***– თქვენთვის რა სიგნალი იყო ეს განცხადება?***

– ქალბატონი მზიას განცხადება ჩემთვის პირველ რიგში სიგნალი იყო იმის, რომ სასამართლო სისტემა ავად არის, თან სერიოზულად არის ავად. კრიტიკულ მდგომარეობაშია და ეს გადაწყვეტილება პრაქტიკულად შეიძლება უფრო მძიმე შედეგების მომტანი გახდეს არა მხოლოდ სასამართლო სისტემისთვის, არამედ საზოგადოებისთვის. ამავე დროს ამავე განცხადებამ წარმოაჩინა, რომ პროცესი სუბიექტურად იყო წარმართული. უზენაესი სასამართლოს მოქმედი წევრებისთვისაც და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისთვისაც კი შეიძლება სულაც არ იყო ეს ყველაფერი ცნობილი. შესაბამისად, თავმჯდომარის ეს განცხადება ადასტურებს სასამართლო სისტემაში სხვადასხვა არაჯანსაღ ინტერესთა ჯგუფების არსებობას. ეს არის ის გამოწვევა, რომელიც თუ არ დაძლია პარლამენტმა, მერწმუნეთ, ეს ჯგუფი გააკონტროლებს არა მხოლოდ სასამართლო სისტემას, არამედ აუცილებლად გაუჩნდებათ ამბიციები სასამართლო სისტემის მიღმა მიმდინარე პროცესებიც გააკონტროლონ. ეს კი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის, მისი სტაბილურობისთვის სერიოზული საფრთხეა. მეტიც,



**იუსტიციის საბჭოს წევრების გაწვევის ინიციატივით გამოსვლა, ეს ყველაფერი არის ის სიმპტომები, რომელიც გვეუბნება, რა სჭირს დღეს სასამართლო სისტემას. როგორ აზროვნებენ, იუსტიციის საბჭოს წევრი რომ ხარ, საკმარისი სამართლებრივი კომპეტენცია ხომ უნდა გქონდეს?!**

შეიძლება მისი დასაწყისის დასასრულიც გახდეს. ამიტომ ამ საფრთხეს სერიოზული გაცნობიერება სჭირდება.

***– „ევროპული საქართველოს“ ინიციატივაა, რომ სამუშაო ჯგუფი შეიქმნას უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატების შესარჩევად. რას იტყვით?***

– არა, სანამ პარლამენტს ჯერ კიდევ აქვს უფლებამოსილების ვადა, უმჯობესი და უფრო ოპტიმალური იქნება თუ ახალი ცვლილებები იქნება ინიცირებული.

***– საკონსტიტუციო ცვლილებები?***

– დიახ, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, სწორედ კონსტიტუციის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ძირითადი ჩარჩო, რომელიც უფრო სტაბილური იქნება. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ რომელიმე ჯგუფს არ ექნება გავლენა ამ პროცესზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც კანონის რეგულირების დონეზეც კი, ჩვენ ვერ ავიცილებთ ამ სისტემაში არსებულ რეალობას, ამიტომ ახლავე არის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც სისტემის რეალური გაჯანსაღებისკენ იქნება მიმართული.

კონსტიტუციური ცვლილებები არ უნდა შეეხოს მხოლოდ უზენაეს სასამართლოს და იქ მოსამართლეების უვადოდ გამწესებას. ამ პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება უნდა მოახდინოს. მე ზოგადად სისტემაზე ვსაუბრობ. სამწუხაროდ, ჩვენ განვითარების იმ ეტაპზე ვართ, რომ ასეთი ჩანაწერების არსებობა გვჭირდება კონსტიტუციაში, თორემ განვითარებულ ქვეყნებში კონსტიტუციაში მსგავს ჩანაწერებს ვერ იხილავთ. ამ ქვეყნებში თავში აზრად არავის მოუვა, რომ დახურულ კარს მიღმა, ყოველგვარი საჯარო კონსულტაციის გარეშე ერთ დღეში უზენაესი სასამართლოს 10 უვადო მოსამართლე შეარჩიო ისე, რომ საერთოდ არავის არ ჰკითხო არაფერი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ზაქარია ქუცნაშვილი: „უზენაესი სასამართლოს კანდიდატების დასახელებისას კონსტიტუცია დაირღვა“

## ანა დოლიძის ინფორმაციით, უზენაესის მოსამართლეობის კანდიდატებზე საერთაშორისო თანამეგობრობა კრიტიკულ შეფასებებს გეგმავს

იაგო ნაცვლიშვილი



24 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაეს სასამართლოში წარსადგენ მოსამართლეთა 10 კანდიდატურა დაასახელა. მათ შორის არიან ის მოსამართლეები, რომელთა მიმართაც ერთ-ერთი ყველაზე მეტი კითხვის ნიშანია – მიხეილ ჩინჩალაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, გიორგი მიქაუტაძე და სხვები. საბჭომ კანდიდატები ისე დაასახელა, რომ მათი გვარები საიტზეც კი არ განუთავსებია.

„ახალი თაობა“ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრს, ანა დოლიძესა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს ზაქარია ქუცნაშვილს ესაუბრა:

ანა დოლიძე გვეუბნება, რომ ახლა მთავარია პარლამენტმა კანდიდატების განხილვა შეაჩეროს. მისი თქმით, კომუნიკაცია ჰქონდათ საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან წერილობითი ფორმით და ახალი წლის შემდეგ ისინი კრიტიკულ შეფასებებს გააკეთებენ:

***– მოვისმინეთ თქვენი მკაცრი შეფასება იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს კანდიდატების წარდგენის თაობაზე. ამ რთულ ვითარებაში რაში ხედავთ გამოსავალს?***

– ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა შეჩერდეს განხილვა. ყველაზე მთავარი ეს არის, იმიტომ, რომ ამ სტილით განხილვა კანდიდატების, როდესაც მაღალ პოზიციებზეა საუბარი, რეალურად უდიდეს შეურაცხყოფას აყენებს თვითონ უზენაეს სასამართლოს. რეალურად ამ ხალხს მანდატების ლეგიტიმურობა ექნება ნულოვანი, ამის დაშვება არ შეიძლება. ამიტომ, ეს განხილვა უნდა შეჩერდეს საახალწლო სესიაზე. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რომ დაიწყოს ამ თემაზე ნორმალური, დემოკრატიული დისკუსია. ვიმეორებ, სხვა შემთხვევაში ამ პროცესის ლეგიტიმურობა ნულის ტოლი იქნება, წინასაახალწლოდ ამხელა გადაწყვეტილებით.

***– ხელისუფლების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია თუ გქონიათ ამის თაობაზე?***

– არა, არ მქონია.

***– უმრავლესობის ზოგიერთმა წევრმა გაავრცელა განცხადება და მზადყოფნა გამოთქვეს, შეგხვდნენ საბჭოს იმ წევრებს, ვინც მხარი არ დაუჭირეთ უზენაესის კანდიდატებს. თქვენ თუ ხართ ამისთვის მზად?***

– მეც მოვისმინე მათი ეს შეფასებები. ახლა ველოდები ამ თემაზე ბიუროს გადაწყვეტილებას. თუ ფორმატს გამონახავენ, მე მზად ვარ, რომ მივიდე. სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი არ მაქვს, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი, რომ დავაფიქსირო ჩემი და ძალიან ბევრი ადამიანის პოზიცია ამ საკითხზე.

***– კიდევ ერთი შემაჩერებელი ბერკეტი საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკული შეფასებაც ხომ არ არის, ვინაიდან ასე თუ ისე უსმენს ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობას? და ხომ არ აპირებთ მუშაობას ამ მიმართულებით?***

– დიახ, ეს არის ბერკეტი და ისინი გააკეთებენ კრიტიკულ შეფასებებს. ჩვენ გვქონდა მათთან კომუნიკაცია წერილობითი ფორმით. გააკეთებენ ამ განცხადებებს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საშობაო არდადეგების შემდეგ იქნება. სწორედ მაგიტომ არის ახლა ევროპული შობის დღეებში ეს გაკეთებული, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები და ელჩები არ არიან საქართველოში. მაგრამ, როგორც კი დაბრუნდებიან, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მკაცრი და კრიტიკული რეაქცია მოჰყვება ამ ამბავს.

***– ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ მმართველმა გუნდმა შეგნებულად დაამთხვია ეს პროცესი შობის დღესასწაულს?***

– დიახ, ცალსახად შეგნებულად არის გაკეთებული. მგონია, რომ ეს ამბავი დაგეგმილი იყო თავიდანვე. ეს იმ პერიოდში უნდა გაკეთებულიყო, როდესაც საზოგადოებისა და უცხოელების ყურადღება ამ მხრივ ძალიან შენელებულია.

ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატების დასახელებისას კონსტიტუცია დაირღვა და ამავე დროს პროცესი ბოლომდე ლეგიტიმური არ იყო. დაუჭერს თუ არა კონკრეტულ მოსამართლეებს მხარს, ამაზე დეპუტატი ღიად არ საუბრობს:

***– როგორ აფასებთ იმ გადაწყვეტილებას, რაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კონკრეტული მოსამართლეების უზენაესი სასამართლოს კანდიდატებად დასახელების თაობაზე?***

– ამ გადაწყვეტილებას ვაფასებ, როგორც ნაჩქარევ გადაწყვეტილებას.

***– თქვენ, როგორც უმრავლესობის ერთ-ერთი დეპუტატი, დაუჭერთ თუ არა ამ კანდიდატებს მხარს?***

– მე როგორც ერთ-ერთი რიგითი დეპუტატი, მივიჩნევ, რომ კონსტიტუცია დაირღვა, როდესაც კონკურსის არგამოცხადებით საქართველოს მოქალაქეებს წაერთვათ უზენაესი სასამართლოს ვაკანტური თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა – სხვა ადვოკატებს, მოსამართლეებს, იურისტებს. მე მივიჩნევ, რომ ამით დაირღვა კონსტიტუცია. იმიტომ, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა კონკურსში, მათ შორის უზენაეს სასამართლოში დაკავების მონაწილეობის შესაძლებლობა. ამიტომაც მივიჩნევ ამ გადაწყვეტილებას ნაჩქარევად.

არ მინდა შევიდე პერსონალურ განხილვაში. მივიჩნევ, რომ პროცესი არ არის ბოლომდე ლეგიტიმური. იქიდან გამომდინარე, რომ მოქალაქეებს წაერთვათ ეს შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შესარჩევ კონკურსში.

***– აქედან გამომდინარე მათ მხარს არ დაუჭერთ?***

– ვიმეორებ, მე არ მინდა შევიდე პერსონალურ განხილვაში. მიმაჩნია, რომ ყველა მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. ადამიანები წლობით ოცნებობენ და ემზადებიან იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში. კონკურსის არ გამოცხადებით, ჩემი აზრით, ყველა მათგანის უფლება დაირღვა. აქედან გამომდინარე ვუწოდე ამ გადაწყვეტილებას ნაჩქარევი.

***– კი ამბობთ, რომ პერსონალურ განხილვებში შესვლა არ გინდათ, მაგრამ ფაქტია, ამ კანდიდატებს შორის არიან ისეთი მოსამართლეები, რომლის მიმართაც კითხვის ნიშნები არსებობს. მათ შორის თქვენც გქონდათ ოპოზიციაში ყოფნის დროს და მათ გადაწყვეტილებებს აპროტესტებდით, იგივე გირგვლიანის საქმეზე და ა. შ.***

– მე საკითხს ყოველთვის ასეთნაირად ვუდგები, რომ კარგი კანდიდატურაა თუ ცუდი, ამ შეფასების გაკეთებამდე ჩვენ უნდა შევთანხმდეთ პროცესის ბოლომდე ლეგიტიმურობასა და ბოლომდე კონსტიტუციურობაზე. თუ ამაზე შევთანხმდებით, ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ მეორე ეტაპზე, შერჩეული კანდიდატებიდან რომელი იმსახურებს ნდობას და რომელი არ იმსახურებს. ამიტომ, მე მიმაჩნია, რომ პირველი ეტაპი შერჩევის პროცესის დროს დაირღვა, ეს არის თანასწორობის პრინციპი. აქედან გამომდინარე მეორე ეტაპის განხილვაში აღარ შევდივარ, რადგან მიმაჩნია, რომ პირველი ეტაპი არ არის სწორად გავლილი.

***– ისმის ბრალდებები ხელისუფლების მისამართით, რომ ეს გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა მიღებული „ქართული ოცნებისგან“ მწვანე შუქის ანთების გარეშე. რა პასუხი გაქვთ?***

– შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ეს ჩვენთვის ისეთივე სიურპრიზი იყო, როგორც მედიისთვის. ჩვენ ამის შესახებ მედიის საშუალებით გავიგეთ. მხოლოდ იურიდიულ კომიტეტში შემოვიდა ერთგვერდიანი წერილი, სადაც ჩამოთვლილი იყო მოსამართლეების სახელები და გვარები, მეტი არაფერი. ამის საშუალებით გავიგეთ, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ვაკანტურ თანამდებობაზე ჯგუფის წარმოდგენის თაობაზე.

გუშინ, 26 დეკემბერს, დღის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს პარლამენტი საგაზაფხულო სესიამდე არ განიხილავს. ეს განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ გააკეთა.

# ჭიაბერაშვილი: „გაზის ტარიფზე სემეკის დღევანდელი გადაწყვეტილება მთავრობის ცინიზმს ავლენს“



– სემეკის გადაწყვეტილება, გაზის ტარიფთან დაკავშირებით, ავლენს ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ცინიზმს, თითქოს მადლობლები უნდა ვიყოთ ივანიშვილის, რომ გაზის ტარიფი არ გაიზარდა, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან „ევროპული საქართველოს“ წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა.

– ყველას კარგად გვესმის, რომ ეს შემცირება არ არის 0,146 თეთრი, ეს არაფრის მთქმელია. გაზის ტარიფი თბილისისთვის რჩება იგივე და ყველამ კარგად ვიცით, დღევანდელ გაჭირვებაში რამდენად მძიმედ აწვება გადასახადები მოქალაქეებს. თბილისისთვის ასეთი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, რეგიონებისთვის შეიძლება მაინც გაიზარდოს. კარგად გვახსოვს, ორი წლის წინ სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სემეკმა, თბილისში იგივე დატოვა და ზოგიერთ რაიონში 17 თეთრით გაძვირდა. ამიტომ მთავარია, იმის გაგება, რომ სიტყვა შემცირება, რომელსაც მთავრობა შეეცდება გააპიაროს, არაფრის მთქმელია და გადასახადები მძიმე ტვირთად დარჩება გაღარიბებულ მოსახლეობას, – აღნიშნა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

# ლევან ალაფიშვილი: „სასამართლო სისტემა სერიოზულად არის ავად“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ანა დოლიძის გაწვევაზე საუბრობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რა ბერკეტი შეიძლება ამის არსებობდეს?***

– ნერვებისმომშლელი იუსტიციის საბჭოს წევრების გაწვევის ინიციატივით გამოსვლა, ეს ყველაფერი არის ის სიმპტომები, რომელიც გვეუბნება, რა სჭირს დღეს სასამართლო სისტემას. როგორ აზროვნებენ, იუსტიციის საბჭოს წევრი რომ ხარ, საკმარისი სამართლებრივი კომპეტენცია ხომ უნდა გქონდეს?! ეს განცხადება ყოველგვარ სამართლებრივ შინაარსს არის მოკლებული. ასეთი მექანიზმი არ არსებობს. რას ჰქვია „გამოიწვიო“?! საქართველოს რეალობაში არ არსებობს ინსტიტუტი, საიდანაც შეიძლება გამოიწვიო. ჩემს სტუდენტებს ეს კითხვა რომ დაუსვათ, ისინი გიპასუხებენ, რომ ეს არ შეიძლება. ყველაფერთან ერთად, კომპეტენციის არარსებობასთან გვაქვს საქმე.

ყველაზე მეტად ვინც კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებას ელოდა, ეს იყოს სწორედ იუსტიციის მოქმედი უმაღლესი საბჭო და ის დაჯგუფება, რომელიც ძალიან კარგად არის ფესვგადგმული არსებულ სასამართლო სისტემაში. ყველაზე მეტად სწორედ ისინი იყვნენ დაინტერესებულები. ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ვაშაძეს გაემარჯვა, ოღონდ ვინმეს დაედო ფიცი კონსტიტუციაზე და ეს კონსტიტუცია ამოქმედებულიყო, რადგან მათ იცოდნენ, რომ ეს წყობა პრაქტიკულად მათ ძალაუფლებას ერთიორად განამტკიცებდა.

***– კონსტიტუციის ეს ახალი რედაქცია სწორედ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აძლევს კარტ-ბლანშს?***

– დიახ, სწორედ ასეა. ეს ხალხი მზად იყო ვილაცას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ფიცი დაედო, რომ ეს რედაქცია ამოქმედებულიყო, რათა ჯიბეში ჩაედოთ გარანტირებული, უზრუნველყოფილი მომავალი სასამართლო სისტემაში.

# ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირობებში, პირადად თქვენი დამსახურებით, 13 თვისა და 13 დღის მანძილზე მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთსა და ასევე ცხინვალის რეგიონში (90-იან წლებში) დაღუპული გმირების ოჯახები ფიზიკურად გადაურჩა შიმშილს, სიცივეს... მათ 1000 ლარი დაუნიშნეთ ყოველთვიურად.

თქვენი ხელისუფლების დამსახურებით, სახლ-კარის გაყიდვა არ უწევთ მოქალაქეებს ოპერაციების ჩასატარებლად (რასაკვირველია, მათ შორის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებიც არიან), მათ საყოველთაო დაზღვევა ეხმარება.

თქვენი ხელისუფლების პირობებში ჩ ჰეპატიტის უფასო პროგრამამ უამრავი პაციენტი გამოგლიჯა სიკვდილს. თქვენი ხელისუფლების პირობებში, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების თხოვნა რეალობად აქციეთ და ვეტერანებს არა „კანტორა“ (დეპარტამენტი), არამედ სახელმწიფო სამსახური აქვთ მოკრძალებული ბიუჯეტით, ახალი შენობითა და კოპწია ეზოთი.

ახლახან, ქალაქის მერიამ ვეტერანების ჰოსპიტლის ასაშენებლად (სამწუხაროდ, ვეტერანებს არა აქვთ ჰოსპიტალი), სახელმწიფო სამსახურს 5 310 კვ.მ. მიწა გადასცა.

რკინიგზის დეპარტამენტმა ცოტა ხნის წინ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ქვეყნის შიგნით მატარებლით მგზავრობისათვის ვეტერანებს საფასურის 50%-ის გადახდა მოუწევთ.

სააკაშვილის ხელისუფლებამ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს ერთადერთი შემოსავალი – 22 ლარი განუსაზღვრა სუბსიდიის სახით და „კანონი ვეტერანების შესახებ“ სანაგვეში მოისროლა. მარტივად რომ ვთქვათ, გაწირა!

ბატონო ბიძინა, თქვენმა პოლიტიკაში დაბრუნებამ იმედი გაგვიჩინა, რომ დღემდე არსებულ 22 ლარს გაზრდით და „ოცნების“ უმრავლესობის პარლამენტი მიიღებს „კანონს ვეტერანების შესახებ“, რომელსაც 6 წელია ამაოდ ვითხოვთ.

სამწუხაროდ, 2019 წლის ბიუჯეტშიც იგივე 22 ლარი დარჩა ვეტერანებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ მერამდენედ გაიწირა ომგადახდილი ადამიანი შიმშილის, უშუქობისა და სიცივისათვის! არადა, ნამდვილად არაა ვეტერანის ბრალი და არც მისი დამსახურებაა, რომ ატკივებული სულითა და დაჩეხილი სხეულით ცოცხალი გადაურჩა ომის ქარცეცხლს.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მქონე ჩვენს სამშობლოში მომავალი თაობა, ჩვენი ახალგაზრდები არა დაფასებულ, არამედ შიმშილით დასუსტებულ, სიცივით გათოშილ, ომგადახდილ ვეტერანებს ხედავენ, იმ ვეტერანებს, საკუთარ სიცოცხლეს უანგაროდ რომ სთავაზობდნენ ყველაზე წმინდას, ყველაზე ძვირფასს – სამშობლოს.

ბევრჯერ გვქონდა მცდელობა, ხმა მოგვეწვდინა თქვენთვის, ბატონო ბიძინა, ბევრჯერ წერილიც გამოგიგზავნეთ, რომ თქვენ შეგეტყოთ ვეტერანების ტკივილის შესახებ, მაგრამ ადამიანები, რომლებიც გალაღებულები არიან მსუყე ცხოვრებით, ხიბლში არიან ჩავარდნილი საკუთარი „ძლევამოსილებით“ და ჩვენ მიერ მოწერილ წერილებს ჰაერში „აქრობდნენ“, სიმართლეს კი არ გეუბნებოდნენ.

მთავრობის მეთაური, მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური გუნდი იგნორირებას აკეთებენ ვეტერანების სასიცოცხლოდ აუცილებელი პრობლემების გადასაწყვეტად. იქნებ ის მაინც ასწავლონ ამ ბატონებმა ვეტერანებს, როგორ გადაანაწილონ თვიდან თვემდე 22 ლარი, როგორ გადაიხადონ კომუნალურები, როგორ აუხსნან ოჯახის წევრებს, რატომაა მათი საცხოვრისი ჩაბნელებული და გაყინული, რატომ არ მიაქვს თოვლის ბაბუას მათი ოჯახის პატარებისთვის ნაძვის ხე, გოზინაყი, კანფეტი...

ბატონო ბიძინა, ჩვენ თქვენგან ველოდებით კომპეტენტურ სიტყვასა და სათანადო ქმედებას.

ამიტომ გწერთ ღია წერილს.

ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ ოჯახთან ერთად!

**პატივისცემით, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, „საერთაშორისო ასოციაცია დაიცავი შენი წილი სამშობლო“ თავმჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი დარეჯან გუგეშაშვილი**

# ექსპერტები სუსის მიერ წარდგენილ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას დადებითად აფასებენ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი და კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ექსპერტებს, სამოქალაქო სექტორისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია გააცნეს და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

სტრატეგია წარმოადგენს სახელმწიფოს ხედვას ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და ხაზს უსვამს, როგორც სახელმწიფო უწყებების ერთობლივი მოქმედებების, ისე სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილმა უწყებათაშორისმა მუდმივმოქმედმა კომისიამ მოამზადა, რომლის შემადგენლობაშიც ყველა რელევანტური სახელმწიფო უწყებაა წარმოდგენილი. საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ტერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში გააჩნია მართვისა და კოორდინაციის ფუნქციები, შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარედ განისაზღვრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხოლო კომისიის სამდივნოს ფუნქცია დაეკისრა სამსახურის ადმინისტრაციას.

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის: აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ფინეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. გარდა ამისა, სტრატეგიის პროექტის მომზადების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი.

ექსპერტები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარდგენილ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სტრატეგიას დადებითად აფასებენ.

საია-ს წარმომადგენლის, გიორგი გობრონიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ჩნდება სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც გარკვეულ ჩარჩოებს გამოკვეთავს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის.

– აქედან გამომდინარე, თვითონ ნაბიჯი არის ცალსახად დადებითი და მისასალმებელი და მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხდება მისი გაზიარება ფართო საზოგადოებისთვის, – განაცხადა გობრონიძემ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორის, პაატა გაფრინდაშვილის შეფასებით კი, კონცეპტუალური მიდგომები მისასალმებელია.

– თავისთავად ეს ფაქტი ცალსახად მისასალმებელია, მე მთლიანობაში მივესალმები რასაკვირველია ამგვარი ტიპის კონცეპტუალურ მიდგომებს, როდესაც მთავარია გაგაჩნდეს ხედვა, სტრატეგია, რაც არის ფუნდამენტი იმისა, რომ შემდეგ უკვე ეფექტიანად განახორციელო და გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, – განაცხადა გაფრინდაშვილმა.

ექსპერტი ამირან სალუქვაძე, მსოფლიოში ტერორიზმს მთელი მსოფლიოსთვის და საქართველოსთვის ერთ-ერთ გამოწვევად მთავარ გამოწვევად მიიჩნევს.

– ჩვენი საზოგადოება ამ კუთხით საკმაოდ ფუფუნებაში არის, უფლის წყალობით, ჩვენთან არაფერი მომხდარა და ამით ფასდება, რა თქმა უნდა, სპეცსამსახურის საქმიანობა, მაგრამ იმისთვის, რომ მეტად ეფექტიანად მოქმედებდეს სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ, აუცილებელია კოორდინაცია სახელმწიფო სტრუქტურების და ამ კოორდინაციისთვის აუცილებელია ასეთი ფუნდამენტური დოკუმენტების შემუშავება, კონცეპტუალური დოკუმენტების და ის სტრატეგია, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა წარმოგვიდგინა, ზუსტად არის ეს პირველი ნაბიჯი, ყოველთვის მივესალმები ასეთ საქმიანობას, – აღნიშნა სალუქვაძემ.



ექსპერტების მხრიდან შეხვედრაზე გამოითქვა მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოხდეს საზოგადოების მიმღებლობის გაზრდა სახელმწიფო უსაფრხოების სამსახურების საქმიანობის მიმართ, როდესაც საქმე ეხება ტერორიზმთან ბრძოლას.

– ამისი მაგალითი, რამდენად მოუმზადებელი ხვდება საზოგადოება ამას, მათ შორის მედიაც, მსგავსი ტიპის ტერორისტულ გამოწვევებს 2017-2018 წლებმა გვიჩვენა და ამიტომ დღის წესრიგში დგას აუცილებლობა იმისა, რომ მოხდეს საზოგადოებისა და მედიის განათლება და სოლიდარობის განცდა სახელმწიფოს და იმ სამსახურების მიმართ, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლის წინა ხაზზე არიან ყოველდღიურ რეჟიმში, – განაცხადა ექსპერტმა ხათუნა ლაგაზიძემ.

საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის დირექტორი, ლევან დოლიძე ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ექსტრემიზმის, რადიკალიზაციის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებობდეს სახელმწიფო სტრატეგია.

მისივე თქმით, მისასალმებელია უშიშროების სამსახურის ნაბიჯი, რომ ეს დოკუმენტი, უფრო სწორედ მისი პირველადი მონახაზი განხილულ იქნეს სამოქალაქო სექტორთან.

ექსპერტი მამუკა არეშიძე, ამბობს, რომ თუ აღნიშნული დოკუმენტი გახდება სახელმძღვანელო ხელისუფლებისთვის და იქნება გაწერილი გეგმა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებამ კონსოლიდირებულად უნდა იმოქმედოს, არა მხოლოდ სუს-მა, არამედ ხელისუფლებამ საერთოდ, მაშინ ის ბევრად ეფექტური იქნება.

– ასეთ შემთხვევაში ასე ვთქვათ, ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და რისკები ბევრად უფრო შემცირდება, – აღნიშნა არეშიძემ.

ჟურნალ „არსენალის" მთავარი რედაქტორი, ირაკლი ალადაშვილი ამბობს, რომ ეს დოკუმენტი დიდ მნიშვნელობას იძენს.

– ეს არის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი. კარგია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოიწვია ექსპერტები და საერთო აზრის შეჯერება მოხდა. ბევრი საინტერესო კითხვა გაჩნდა და მე მგონი ეს დოკუმენტი დამუშავდება და ეს არის აუცილებელი იმისთვის, რომ საქართველო უკეთესად იყოს მომზადებული საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, – აღნიშნა ალადაშვილმა.

ხოლო სტრატეგიის ანალიზის ცენტრის დამფუძნებლის, გიორგი თარგამაძის შეფასებით, დოკუმენტზე მუშაობისას პროცესის გახსნილობა ძალიან მნიშვნელოვანია.

– არა მხოლოდ ამ დოკუმენტის შემუშავებას, არამედ შეიძლება კიდევ უფრო მეტად ამ დოკუმენტზე მუშაობის პროცესის გახსნილობას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა გავიზარდოთ, სიმწიფის თვალსაზრისით, როგორც პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, სახელმწიფო ინსტიტუტებმა, საზოგადოებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ერთმანეთთან თანამშრომლობის კუთხით და გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ერთმანეთის არა თუ მტრები, მოწინააღმდეგეებიც არ ვართ, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც ანტიტერორისტული პოლიტიკა და ღონისძიებები არის, – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

თავის მხრივ, კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე, ზაალ კასრელიშვილი დადებითად აფასებს ფაქტს, რომ კონცეფცია არსებობს.

– დადებითად ვაფასებ თვითონ იმ მოვლენას, რომ დროა, საქართველოში უწყებებს განსაზღვრული ჰქონდეთ სტრატეგია და ტაქტიკა, – აღნიშნა მან.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი და კონტრტერორისტული ცენტრის უფროსი ირაკლი ჩიმაკაძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ექსპერტებს, სამოქალაქო სექტორისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციიდან აცნობეს, შეხვედრაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია გააცნეს და მათ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებმა ანაზღაურება კიდევ ერთხელ გაიზარდეს



საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ჰონორარებისთვის განსაზღვრული თანხიდან, წლის ბოლოსთვის დარჩენილი 27.263 ლარი რვა მეურვეზე ერთჯერადად გადანაწილდება, რაც თითოეულზე 3.407 ლარს შეადგენს. ამის შესახებ გადაწყვეტილება საბჭოს წევრებმა დღეს ერთხმად მიიღეს.

სამეურვეო საბჭოს 26 დეკემბრის სხდომაზე ასევე ერთხმად დაამტკიცეს მომავალი წლიდან ყოველთვიური ჰონორარების გაზრდის საკითხიც.მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წელს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ყოველთვიური ჰონორარი 6.500 ლარი იქნება, თავმჯდომარის მოადგილის – 4.800 ლარი, სამეურვეო საბჭოს წევრის – 4.200 ლარი.

ამ გადაწყვეტილებამდე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ყოველთვიური ანაზღაურება 5.800 ლარი იყო, საბჭოს წევრის – 3.800 ლარი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები საკუთარ ანაზღაურებას პერიოდულად იზრდიან. მაგალითად, 2017 წლის პირველ დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ყოველთვიური ანაზღაურება 5.000 ლარი იყო, წევრის – 3.200.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების განმარტებით, მათი ყოველთვიური ანაზღაურების ზრდა კანონით არის განსაზღვრული, რადგან სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტი ტელევიზიის მთლიანი ბიუჯეტის 1,5 პროცენტს შეადგენს. ამ თანხიდან კი ერთი პროცენტი სამეურვეო საბჭოს ჰონორარებისთვის არის განსაზღვრული. როდესაც ტელევიზიის ბიუჯეტი იზრდება, იზრდება სამეურვეო საბჭოს დაფინანსებაც. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ დღევანდელ სხდომაზე ტელევიზიის 2019 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა.

**ბმ.გე**

## ხაჯიმბას ანქვაბის ეშინია

*მარიამ მჭედლიშვილი*

2019 წელი ოკუპირებულ აფხაზეთში არჩევნების წელია. შუა ზაფხულში იქ დეფაქტო პრეზიდენტს ირჩევენ. ახლანდელმა ფაქტობრივმა პრეზიდენტმა ხაჯიმბამ არ გაითვალისწინა საზოგადოების მოთხოვნა ამ არჩევნების გაზაფხულზე გადმოტანის თაობაზე. ამის გამო აფხაზეთში ბევრი ტურისტულ სეზონზე დამსვენებლებისათვის შეუფერებელ გარემოს პროგნოზირებს.

რუსი ტურისტების ნაკადი ისედაც შემცირებულია, ორი წლის წინ კი ტურისტული სეზონი თითქმის ჩაიშალა მას შემდეგ, რაც აფხაზეთში ადგილობრივმა მძარცველებმა რუსი ტურისტი მოკლეს.

პრეზიდენტობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, დღევანდელი მონაცემებით, რაულ ხაჯიმბაა. მას შემდეგ, რაც ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად დეპუტატი ალექსანდრე ანქვაბი დახურულ კარს მიღმა ხაჯიმბას შეხვდა, საჯაროდ კი განაცხადა, რომ მზადაა, მომავალ არჩევნებში საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელოს, შეიქმნა განცდა, რომ იგი აქტიურ პოლიტიკაზე უარს ამბობს.

წლის შედეგების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ხაჯიმბას დაუსვეს შეკითხვა პრეზიდენტის ასაკის ცენზის გაზრდაზე. მოქმედი კანონით, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ პირებს 35-დან 65 წლამდე. ანქვაბი ზედა ზღვარს ოდნავ აჭარბებს.

ხაჯიმბას სიტყვებით, ასაკობრივი ცენზი არ გაიზრდება. მან ისიც აღნიშნა, რომ კარგად იცის, საიდან მომდინარეობს ასაკის გაზრდის ინიციატივა. ხაჯიმბა 2014 წლის მოვლენების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მაშინდელი პროცესების შედეგად ვადაზე ადრე წავიდა ანქვაბი. იმ მოვლენებს დღეს „სახელმწიფო გადატრიალებას" უწოდებენ.

მოსალოდნელია, რომ ხაჯიმბას მთავარი მეტოქე ანქვაბის გარემოცვიდან შეირჩეს. პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში გააქტიურებულია.



„ახალი თაობა" წერდა, რომ აფხაზეთში იქმნება ახალი პოლიტიკური ორგანიზაციები. ყველა მათგანი ოპოზიციურადაა განწყობილი რაულ ხაჯიმბას მიმართ. ისინი საუბრობენ კორუფციის დიდ მასშტაბებზე, ხაჯიმბას ხელისუფლების უუნარობასა და „სახელმწიფოს" ნგრევაზე.

ხაჯიმბა ახალი პოლიტიკური გაერთიანებების აღმოცენებას შეეხო. მისი აზრით, ეს 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება.

– ეს შიშს არ ბადებს. ყველა ეს ხალხი ცნობილია. ისინი წარსულში იყვნენ პოლიტიკური პროცესების მონაწილეები. არავის არ ეკრძალება აზრის გამოთქმა, პროგრამების ქონა, მაგრამ ძალიან ბევრი ძალა გამოჩნდა ბოლო დროს, – ასკვნის აფხაზეთის ხელმძღვანელი.

პრესკონფერენციაზე საოკუპაციო რეჟიმის მეთაურმა ისიც განაცხადა, რომ აფხაზეთი უფსკრულის პირას არ იმყოფება.

– ჩვენ წინ მივდივართ. მართალია, ყველაზე დიდი ნაბიჯებით ვერა, მაგრამ ეს ჩვენი ქვეყანაა და ის უნდა შევინარჩუნოთ მომავალი თაობებისთვის, – აღნიშნა მან.

ხაჯიმბას თქმით, დიდი წარმატება არ ყოფილა, მაგრამ არც „ქვეყანა" დაუნგრევიათ. ეკონომიკის ზრდის ტემპი არ შემცირებულა. გაიზარდა აფხაზეთის საკუთარი შემოსავლები. გაიცემა ხელფასები, პენსიები და შემწეობები.



ხაჯიმბას დროს აიკრძალა აფხაზური პასპორტების გაცემა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებზე. ამ დისკრიმინაციაზე იგი არაფერს ამბობს. პასპორტიზაციის თემას ხაჯიმბა სხვა მხრიდან აკრიტიკებს.

აფხაზეთის კანონი ურთულებს ახალი პასპორტის აღებას სხვა არააფხაზებს. ხაჯიმბას თქმით, არის შემთხვევები, როცა ახალ პასპორტზე მოქალაქეებს უარს უსაფუძვლოდ ეუბნებიან. მათ რიცხვში აღმოჩნდა აფხაზეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი ტოპოლიანი.

ხაჯიმა აღიარებს, რომ ვერ ხერხდება საგადასახადო რეფორმის გატარება. მისი თქმით, არსებობს გადასახადების რაოდენობის შემცირების გეგმა, მაგრამ ამის სანაცვლოდ, მეწარმემ უნდა გააფართოოს მრეწველობა და შექმნას სამუშაო ადგილები.

# ზურაბ ჯაფარიძე: „ეკონომიკის მინისტრი კიდევ დიდხანს დაგვტოვებს წუმპეში“

ზურაბ ჯაფარიძე ეკონომიკის მინისტრის საპარლამენტო გამოსვლას სოციალური ქსელით ეხმაურება. გირჩის ლიდერი facebook-ზე წერს, რომ მინისტრი რაღაცებს სწორად აფასებს, თუმცა გეგმები და მიზნები ისეთი აქვს, ქვეყანა კიდევ დიდხანს დარჩება წუმპეში.

ჯაფარიძის პოსტს კომერსანტი უცვლელად გთავაზობთ:



– კონტექსტიდან ამოგლეჯილ არაერთი სასაცილო ფრაზაზე გავერთეთ, თუმცა, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია მართლა გვესმოდეს ვინაა ეს ადამიანი და რას უნდა ველოდოთ მისგან.

სრულად მოვუსმინე. არც სულელია, არც უჭკუო (მაკენზიში სულელები არ ჰყავთ, მით უმეტეს, პარტნიორად). უფრო პირიქით. ეკონომიკა იცის.

თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ ეკონომიკის ცოდნა და მაკენზის პარტნიორობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აპრიორი სწორი ხედვები აქვს ეკონომიკურ საკითხებზე. მაკენზის მსგავს კომპანიებს, მთავრობები, ხშირ შემთხვევაში ფულს იმაში არ უხდიან, რომ სწორი რჩევები მიიღონ. ფულს იმაში უხდიან, რომ რისი გაკეთებაც სურთ, ის გაუპრავონ კვალიფიციურად. ამისთვის არის ეკონომიკის ცოდნა საჭირო.

ორ ნაწილად დავყოფ, რა თქვა სწორი და რა არასწორი.

სწორია ეკონომიკის ანბანის ახსნა დეპუტატებისთვის, რადგან აზრზე არ არიან, უბრალოდ ცხედან ჭკვიანი სახეებით.

სწორი თქვა, რომ 2014-16 წლებში ჩავარდნა იყო მეტწილად გარე ფაქტორების გამო, თუმცა მანდ მთავარი ისაა, რამდენად მომზადებული დახვდა ქვეყანა ამ გარე ფაქტორებს და მანდ პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა.

სწორია, რომ რეგიონში, თურქეთის გარდა, სხვებთან შედარებით სწრაფი ზრდა გვქონდა მაგ პერიოდში, თუმცა, მთავარი ეგ არაა – მთავარი კითხვაა, შეგვეძლო თუ არა მეტი გვქონოდა. შეგვეძლო...

სწორია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გვქონდა კატასტროფული ეკონომიკური ვარდნა;

სწორი თქვა, რომ მას შემდეგ სულ იზრდება ეკონომიკა, სულ ვვითარდებით, სიტუაცია სულ უმჯობესდება, ყველა ხელისუფლების პირობებში;

სწორი თქვა, რომ სიღარიბე მუდმივად კლებულობს, ყველა ხელისუფლების პირობებში (ამაზე დაესხა ყველაზე მეტი და სრულიად უსამართლოდ);

სწორი თქვა, რომ ბოლო წლებში სიღარიბის შემცირების ტემპი დავარდა (ეს სიმართლე წესით უნდა დაეფასებინა ოპოზიციას, მაგრამ გამორჩათ);

სწორი თქვა, რომ ახალი სამუშაო ადგილები მუდმივად იქმნება ეკონომიკაში (30-40 ათასი წელიწადში, ამაში არაფერია არც გასაგიჟებელი და არც აღმაფრთოვანებელი);

სწორი თქვა, რომ უმუშევრობის დონე კლებულობს;

სწორი თქვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულების ძალიან დაბალ პროდუქტიულობაზე;

სწორი თქვა, რომ სოფლის მეურნეობიდან ადამიანები უნდა გადავიდნენ სერვისების სექტორში, თუ გვინდა სიღარიბის შემცირება (ამას მე რომ ვამბობ, სოფელს ერჩიო, მაგინებენ);

სწორი თქვა, რომ განათლების სფეროში დასაქმებულები ასევე უკიდურესად არაპროდუქტიულები არიან (კი, გამორჩეულად არაპროდუქტიულ ხალხს, ანუ იმ ხალხს, რომლებიც დღევანდელ ცხოვრებაში ვერ არიან წარმატებულნი, ვანდობთ საკუთარი შვილების მომზადებას მომავალი ცხოვრებისთვის. კი, ასეთ წარმოუდგენელ მზაობას ვაკეთებთ და ვაფინანსებთ);

სწორი თქვა, რომ ტურიზმიდან შემოსავლები მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის დასაბალანსებლად;

სწორი თქვა, რომ ინვესტიციები მნიშვნელოვანია მიმდინარე ანგარიშის დასაბალანსებლად;

სწორი თქვა, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესავსებად ვალები არ უნდა გამოვიყენოთ;

სწორად ილაპარაკა ესტონური მოდელის სიკეთეებზე;

სწორი თქვა, რომ ინფლაციის სერიოზული პრობლემა არ გვიდგას (ამაზეც დაასხეს უსამართლოდ. ნუ, ქართულად აზრის გადმოცემა უჭირს)

სწორი თქვა, რომ ინვესტორებს აქვთ პრობლემები ბიუროკრატიასთან (და არა მხოლოდ ინვესტორებს, ადგილობრივ მოკვდავებსაც იგივე პრობლემა გვაქვს);

სწორი თქვა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია უნდა მოხდეს (ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი რაც თქვა, სწორ ნათქვამებს შორის, თუმცა მიწა, ტყეები, წიაღისეული არ უხსენებია ამ კონტექსტში, მხოლოდ 2 მლრდ ქონებაო);

სწორი თქვა, რომ ენერგეტიკაზე, ლოჯისტიკასა და ტურიზმზე ფოკუსი მნიშვნელოვანიაო (თუცა გააჩნია ფოკუსში რას გულისხმობს. თუ ბევრი ფულის ხარჯვას ბიუჯეტიდან, მაშინ არასწორია);

სწორი თქვა, რომ თავისუფალი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან, მათ შორის აშშ-სთან, არის ძალიან მნიშვნელოვანი.

❖ ❖ ❖

რა თქვა არასწორი:

კარგ ზრდას, საკმაოდ მაღალ ტემპსეძახის 4-5%-ს. კატასტროფაა, ჩემი აზრით. დავრჩებით წუმპეში დიდხანს;

ზედმეტად სჯერა IMF-ის პროგნოზების (ეკონომიკურ ზრდაზე) და ზოგადად IMF-ის;

უმუშევრობის დონეს უყურებს ზედაპირულად და არ იაზრებს, რომ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები სინამდვილეში, ფაქტობრივად, უმუშევრები არიან. და ჩვეულებრივ კონკურენციაში შედიან დასაქმების ბაზარზე ფორმალურად უმუშევრებთან;

დიასახლისები სინამდვილეში მუშაობენ, ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. უბრალოდ, მათი შრომა მშპ-ში არ აღირიცხება. ეს როგორ შეიძლება არ ესმოდეს ეკ მინისტრს, გაუგებარია;

განათლებაში რეფორმები დავიწყეთ და ეშველებაო. განათლებას ერთადერთი რეფორმა სჭირდება – სახელმწიფოსგან გათავისუფლება. განათლების ცენტრალიზებული სისტემის ახალი მინისტრის გემოვნებაზე მორგება – რეფორმა არ არის. ამას ვერ ხვდება ვერც ეს მინისტრი და ვერც ზოგადად ეს ხელისუფლება (და ვერც ბრძენი ერი);

უარყოფით სავაჭრო ბალანსს მიიჩნევს პრობლემად. სტანდარტული და ფართოდ გავრცელებული ბოდვა. აქედან გამომდინარე უნდა ველოდოთ ათას მზაობას ეკონომიკურ პოლიტიკაში;

სჯერა, რომ თუ დიდი ქვეყანა ხარ, ყველაფერი თავად უნდა აწარმოო. და ჩვენ იმიტომ არ უნდა ვაწარმოოთ ყველაფერი, რომ პატარა ქვეყანა ვართ. სწორ დასკვნამდე მიდის არასწორი დასაწყისიდან;

სჯერა, რომ უცხოურ ინვესტიციებს აქვს ნეგატიური მხარე – დივიდენდების გატანას აღიქვამს პრობლემად (ვაი, ვაი);

უცხოური ინვესტიციები არ არის პანაცეაო;

სავალდებულო სახელმწიფო საპენსიო ფონდში ხედავს გამოსავალს შიდა ინვესტიციების გაზრდისთვის;

ლარიზაცია კარგი ჰგონია;

დეპოზიტების იძულებითი დაზღვევა სწორი ჰგონია;

დასაქმება ჰგონია ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი;

ინკლუზიურობა (ზუსტად რას ნიშნავს არავის ესმის) ჰგონია ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი;

ექსპორტის წახალისება ჰგონია ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი;

ინოვაციებზე და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ინვესტიციების შემოტანა – ოქეი, მაგრამ სხვა ინვესტიციებიც რომ შემოვიდეს, რა პრობლემაა? რატომ არ შეიძლება ისეთი გარემო შევქმნათ, რომ ყველანაირი შემოვიდეს?

მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლებაზე აპირებს ფულის ხარჯვას – ნაცვლად იმისა, რომ გადასახადები დაწიოს და ბიზნესს მისცეს საშუალება თავად გადაამზადოს ვინც უნდა და როგორც უნდა;

ხარისხის კონტროლის გამკაცრებას აპირებს;

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (ანუ, ვილაცებმა უნდა იხადონ გადასახადები, რათა აფინანსონ ვილაცების ბიზნესები) – ეს ისედაც მზაობაა + პრინციპში წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული ბანკის და მთავრობის ბოლო ერთობლივ ინიციატივებთან (სესხებზე ხელმისაწვდომობა შეამცირეს);

სახელმწიფო კომპანიების ეფექტურობის ზრდა ჰგონია მიზანი – ნაცვლად იმისა, რომ გაყიდოს;

სოფლის მეურნეობაში აპირებს ფულის ხარჯვის გაგრძელებას (მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმის ამ სფეროს არაპროდუქტიულობა);

საქართველო საკუთარი ფლოტის შექმნას აპირებს – ყოველთვის საზღვაო ქვეყანა ვიყავითო.

ქვეყნის ავტოპარკის გაუმჯობესება (50% არის ძველიო) – რეგულაციებით აპირებს ღარიბი მოსახლეობის მანქანებიდან ჩამოსმას.

აპირებს მშენებლობის კიდევ უფრო რეგულირებას, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

აპირებს ანტიდემპინგური კანონის მიღებას;

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცებს სწორად აფასებს, გეგმები და მიზნები ისეთი აქვს, კიდევ დიდხანს დაგვტოვებს წუმპეში.

თუმცა, პატარა საკუთარი ფლოტილია გვეყოლება და შეგვეძლება ამ წუმპეში ვიცურაოთ.

## საქართველოს მოქალაქეების ლეგალურ დასაქმებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს



– საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმების ხელშეწყობა მომავალ წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა წლიური შეჯამებისას განაცხადა.

როგორც დავით ზალკალიანმა აღნიშნა, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ლეგალური დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია.

– ჩვენ ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების კუთხით საქმიანობა უკვე დაწყებული გვაქვს. ამის ნათელი ნიმუში საფრანგეთი გახლავთ. ლეგალური დასაქმების კუთხით ორმხრივი შეთანხმება საფრანგეთთან 2013 წელს გავაფორმეთ. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა ამ შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა. შემდეგ ჯერი საფრანგეთის პარლამენტზე იყო. საფრანგეთში ეს პროცესი ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაიწელა. ამ შეთანხმების რატიფიცირება საფრანგეთის პარლამენტმა მოახდინა და რამდენიმე დღის წინ დოკუმენტს ხელი საფრანგეთის პრეზიდენტმა მოაწერა, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

მისივე თქმით, მუშაობა უკვე დაწყებულია გერმანიასთან, ასევე პოლონეთთან და საპილოტე პროგრამები უკვე განხორციელებულია.

– ამ დროისთვის მოლაპარაკებები მიმდინარეობს ნორვეგიასთან, პორტუგალიასთან, შვედეთთან, დანიასთან და ლიეტუვასთან. დღეს იმ დროის დასახელება გამიჭირდება, რა პერიოდშიც მათთან შეთანხმების მიღწევას მოვახერხებთ. სხვა უწყებებთან ერთად, ყველანაირად ვეცდებით, რომ საზღვარგარეთ ლეგალური დასაქმების კუთხით მომავალი წლისთვის ხელშესახები შედეგები დავდოთ. ევროკავშირის ქვეყნების გარდა, საქართველოს ლეგალურად დასაქმების კუთხით ისრაელთანაც ვმუშაობთ. ინფორმაცია მალე გვექნება და შეგატყობინებთ. მარტივი საქმე არ არის. ჩვენზე რაც დამოკიდებულია, ის ძირითადი სამუშაო შესრულებულია. ველოდებით, რომ ისრაელის მხარეც ამ მიმართულებით შემხვედრ ნაბიჯებს გადმოდგამს. ისრაელთან ბოლოს საკონსულო მოლაპარაკებები ჩავატარეთ და ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ლეგალური დასაქმებაც იყო. არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები ამ მიმართულებითაც გვექნება, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

## საახალწლო ბაზრობა თბილისის მასშტაბით 16 ლოკაციაზე მოეწყობა



საახალწლო ბაზრობა თბილისის მასშტაბით 16 ლოკაციაზე მოეწყობა. თბილისის მერიის ინფორმაციით, ბაზრობები ძირითადად მეტროსადგურებთან განთავსდება. გარევაჭრობასთან დაკავშირებით კი მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მუნიციპალური ინსპექცია სხვა ადგილებში გარევაჭრობას მკაცრად გააკონტროლებს.

– ხალხი, რომლებიც ამ ლოკაციებიდან მოშორებით იქნება ან თვითნებურად, ან ქაოტურად განაწილდებიან, ამათზე რეაგირებას მოვახდენთ, მაგრამ რეაგირება, სამწუხაროდ, შეიძლება მოგვიწიოს კანონის შესაბამისად, – განაცხადა თბილისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ვლადიმერ ყუშიტაშვილმა.

## „სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს მხოლოდ ძირითადი ფუნქციები, საწარმოები კი მთლიანად კერძო სექტორის ხელში გადავიდეს“

კომერსანტთან ბიზნესის წარმომადგენლები ეკონომიკის მინისტრის მიერ დაანონსებულ, სახელმწიფო ქონების პრივატიზებას აფასებენ.



ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძის განმარტებით, სახელმწიფო საკუთრების კერძო სექტორში გადასვლა ქვეყნის კეთილდღეობას გაზრდის და კონკურენტულ პირობებს შექმნის ბაზარზე.

– ის რომ სახელმწიფოს მიერ დასუფსიდირებული კომპანია კონკურენციას უწევს კერძო კომპანიას, ცხადია, არაჯანსაღია. რაც უფრო ნაკლები ბიზნესსუბიექტი იქნება სახელმწიფოს მფლობელობაში, მით უკეთესი. ამ არაეფექტურ სახელმწიფო კომპანიებში კი საქართველოს თითოეული მოქალაქე იხდის ფულს.

სახელმწიფომ უნდა დაიტოვოს მხოლოდ ძირითადი ფუნქციები, როგორიცაა უსაფრთხოება, სამართალწარმოების პროცესი, საკანონმდებლო ნაწილი და ასე შემდეგ.

საწარმოები კი მთლიანად კერძო სექტორის ხელში უნდა გადავიდეს, თუმცა რამდენიმე გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ობიექტის გასხვისება, შესაძლოა, რისკებს უკავშირდებოდეს. ასეთია ნავთობსადენები, გაზსადენები და რკინიგზის ცენტრალური ლიანდაგი, რადგან კერძო მფლობელების პირადმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ინტერესმა შესაძლოა დიდი პრობლემები წარმოშვას. თუმცა, ცხადია, გასხვისება ნაჩქარევი არ უნდა იყოს და რეალური საბაზრო ღირებულებით უნდა მოხდეს სახელმწიფო საკუთრების გასხვისება, – განაცხადა ანზორ ქოქოლაძემ.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხს დადებითად აფასებს კარდიოლოგიური კლინიკა „გულის“ დამფუძნებელი ანზორ მელიაც.

– ფაქტობრივად, ქვეყანაში ყველა სამედიცინო დაწესებულება კერძოა, რამდენიმეს თუ არ ჩავთვლით. შესაბამისად პრივატიზების საკითხი სამედიცინო სფეროს ნაკლებად შეეხება. ზოგადად სახელმწიფო საკუთრების კერძო მფლობელობაში გადასვლა დადებითია, რადგან კერძო სექტორი ბევრად ეფექტიანად მართავს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კერძო კომპანიები თანაბარ პირობებში იყვნენ, ამ საკითხს კი ანტიმონოპოლიური კანონის არსებობა დაარეგულირებდა, – განმარტა ანზორ მელიამ.

შეგახსენებთ, რომ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ სახელმწიფო ქონების გასხვისებაზე პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

– ჩვენ ძალიან დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონება გვაქვს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობაში უნდა ჩავრთოთ. ეს ქონება თუ არ გავასხვისეთ, კერძო სექტორზე არ განვკარგეთ, ეს ჩვენი დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორი იქნება. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო კომპანიების ეფექტიანობის ზრდა, – განაცხადა ქობულიამ.

# კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიებმა შიმშილობა შეწყვიტეს

გულიკო ბალაძე

**26 დეკემბერს ცოტნე გამსახურდია ადვოკატ ამირან გიგუაშვილთან ერთად საქართველოს მთავარ პროკურორ შალვა თადუმაძეს შეხვდა.**

შეხვედრის შემდეგ ცოტნე გამსახურდიამ განაცხადა, რომ მთავარი პროკურორისაგან მიიღეს პირობა, რომ ზვიად გამსახურდიას საქმის გამოსაძიებლად საქართველოს მთავარ პროკურატურაში სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი შეიქმნება.

— შეიქმნება საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც შალვა თადუმაძე უხელმძღვანელებს, ამიტომ ვწყვეტთ შიმშილობას, — განაცხადა ცოტნე გამსახურდიამ მთავარ პროკურორთან შეხვედრის შემდეგ.

როგორც ცოტნე გამსახურდიამ განაცხადა, შალვა თადუმაძესთან საუბრის დროს, მან საკმარისი გარანტიები მიიღო.

— მე და ჩვენი ადვოკატი ამირან გიგუაშვილი შევხვდით შალვა თადუმაძეს, ვესაუბრეთ მას საქმეში არსებული ვითარების შესახებ და ამ საქმის გახსნის შესაძლო სტრატეგიებზე.

გვქონდა ასევე საუბარი ჩვენს მთავარ მოთხოვნაზე — შეიქმნას საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც ექნება უფლებამოსილება და კვალიფიკაცია, განახორციელოს შესაბამისი საგამოძიებო ქმედებები. იქნება ეს ქართველი თუ უცხოელი ექსპერტებით დაკომპლექტებული.

მთავარი პროკურორი შალვა თადუმაძე შეგვპირდა, რომ გააკეთებს ყველაფერს, რათა ეს ჯგუფი შეიქმნას. ის პირადად უხელმძღვანელებს ამ ჯგუფს. შემდეგი სამუშაო შეხვედრა იანვრის ბოლოს დავგეგმეთ.

ჩემთვის მთავარი პროკურორის დამოკიდებულება და სიტყვებია, რომელიც დღეს მოვისმინე, არის იმის გარანტია, რომ ეს ყველაფერი შესრულდება, — აღნიშნა ცოტნე გამსახურდიამ.

ზვიად გამსახურდიას საქმეს 31 იანვარს დახურვა ემუქრებოდა. ამიტომ პირველი პრეზიდენტის შვილებმა ქვეყნის მთავარ პროკურატურაში დაიწყეს შიმშილობა, რომელსაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა.

ცოტნე და კონსტანტინე გამსახურდიები მოითხოვდნენ ხანდაზმულობის ვადის მოხსნასა და საქმეში არსებული ფიგურანტებისთვის სასწრაფოდ ბრალის წაყენებას.

მათი მოთხოვნის საპასუხოდ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიმართა საქართველოს პარლამენტს, მიეღოთ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ხანდაზმულობის ვადას გაახანგრძლივებდა, რათა პრობლემა



მოხსნილიყო.

პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო დადგენილება და 5 წლით გაახანგრძლივა ხანდაზმულობის ვადა, თუმცა, ეს არ ხსნიდა მთავარ საკითხს, საქმის გამოძიებას.

# მამა-შვილ აბულაძეებს 15 ადამიანი სცემდა და 10 გვერდში ედგა

## წავკისის მკვლელობის საქმეში ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ



წავკისში მომხდარი ფეიქრიშვილების მკვლელობის საქმეზე დაკავებულებს ბრალი 25 დეკემბერს ოფიციალურად წარუდგინეს.

დაკავებულ მამა-შვილს, ნიკოლოზ და გიორგი აბულაძეებს გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას და მკვლელობის მცდელობას ედავება, თუმცა ისინი დუმილის უფლებას იყენებენ და ბრალს არ აღიარებენ.

დანაშაულის შეუტყობინებლობას აღიარებს მესამე დაკავებული ანრი ყურაშვილი, თუმცა ამბობს, რომ მან მკვლელობის ადგილას მეგობრები ავტომანქანით მიიყვანა და არაფერი დაუნახავს.

გუშინ, 26 დეკემბერს, სამივე დაკავებულს წინასწარი პატიმრობა მიესაჯა.

პროცესის დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა საქმის პროკურორმა და თქვა, რომ გამომძიებლებმა შემთხვევის ადგილიდან დანა ამოიღეს, რომელზეც სისხლისმაგვარი კვალია აღმოჩენილი.

გრიგოლ ბიბილაშვილის განცხადებით, სისხლისმაგვარი ნივთიერება აღმოჩნდა იმ ავტომობილში, რომლითაც ბრალდებულები წავკისში მოვიდნენ.

— სამივე ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გიორგი აბულაძემ და ანრი ყურაშვილმა დატოვეს თბილისი და აჭარის მიმართულებით წავიდნენ, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი ცდილობდნენ საქართველოს საზღვრის დატოვებას, — განაცხადა ბრალდების მხარის წარმომადგენელმა.

პროკურორმა აღნიშნა, რომ დაპირისპირება 23 დეკემბერს, 20:50 საათზე მოხდა.

მამა-შვილ აბულაძეების ადვოკატი განზრახ მკვლელობას გამორიცხავს და ამბობს, რომ მამა-შვილი თავს იცავდა.

— ბრალდებულები თავს იცავდნენ, — განაცხადა ადვოკატმა გელა ტყეშელაშვილმა.

მისი თქმით, დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ, რადგან ფაქტი ისე არ მომხდარა, როგორც ამას სახელმწიფო ბრალდება აღნიშნავს.

— ბრალდებას ძალიან გაუძნელდება ამ სახით, რა სახითაც იქნა წარმოდგენილი ბრალდების დადასტურება. პირიქით, ბრალდების მხარე ჩვენ გვეუბნება, დამისაბუთეთ, რომ თქვენ არ ჩაგიდენიათ დანაშაულიო, როდესაც ბრალის დასაბუთების ვალდებულება ბრალდების მხარის არის. ჩვენ არაფერს არ დავუსაბუთებთ და არაფერს არ გავცემთ პასუხს, ჩვენ თავს დავიცავთ აუცილებლად.

რა თქმა უნდა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები არ აღიარებენ დანაშაულს, რადგან ეს ყველაფერი ასე არ მოხდა. მათ დახვდნენ, ისინი ჩიხში მოიმწყვდია არაერთმა ადამიანმა. ბრალდების დადგენილებაში კი მხოლოდ 3 ადამიანი წერია იმ დროს, როდესაც მათ 15 ადამიანი სცემდა და 10 გვერდში ედგა. თავად დაინახეთ, აბულაძეები როგორი ნაცემები არიან. რა თქმა უნდა, ბრალდებულები თავს იცავდნენ.

დღევანდელ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ, — განაცხადა ადვოკატმა ტყეშელაშვილმა.

ანრი ყურაშვილის ადვოკატმა გიორგი სიმონიშვილმა ჟურნალისტებთან სკანდალური განცხადება გააკეთა.

ადვოკატი ირწმუნება, რომ ყურაშვილმა დაჭრისა და მკვლელობის შესახებ არაფერი იცოდა.

რაც შეეხება მკვლელობის მოტივს, სიმონიშვილი აღნიშნავს, რომ მკვლელობამდე რაღაც შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რასაც ვერ გააჟღერებს.

— თუ გავყვებით პროკურორის ნათქვამს, რომ შურისძიების მოტივი წარმოიშვა, ესე იგი კონკრეტულ შემთხვევამდე რაღაც სხვა შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რასაც დაცვის მხარე ჯერჯერობით ვერ გააჟღერებს, რადგან ვერსიებზე ვმუშაობთ. შესაძლებელია, ეს იყო ჩხუბი, სადაც ბრალდებულები დაზიანდნენ და აქედან გამომდინარე მათ, შესაძლოა, აღენიშნებოდათ სისხლის კვალი. შესაძლოა, მანქანაშიც ამიტომ იყო ეს კვალი, — განაცხადა ადვოკატმა სიმონიშვილმა.



### „ერთ-ერთის დედას დაემუქრნენ, შენი შვილი თუ ფულს არ მოიტანს, სახლში მოგივარდებითო“

---

რამდენიმე დღის წინ წავკისში დიდი ტრაგედია მოხდა. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაწყებულ კონფლიქტს ორი ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა. ლექსო და დავით ფეიქრიშვილები ცივი იარაღით მოკლეს, კიდევ ორი დაჭრილი კი საავადმყოფოში იმყოფება.

ოფიციალური ინფორმაციით, კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც დაკავებულებმა რამდენიმე დღის წინ, გარდაცვლილების ავტომობილი დააზიანეს. სარკის გამო დაწყებული გარჩევა კი ასე დასრულდა. პოლიციამ მკვლელობის იარაღი, ხანჯალიც ამოიღო.

— უწყინარი ბიჭები იყვნენ, მათი ცუდი არავის ახსოვს და ასე სასტიკად დაკლეს ორივე. მთელი სოფელი შოკშია, არავინ ელოდა, რომ ასეთი ტრაგედია შეიძლება მომხდარიყო. ეჭვმიტანილები ტაბახმელიდან არიან, ამოვიდნენ აქ საქმის გასარჩევად და ბიჭები დახოცეს, — ყვებიან წავკისელები.

განსხვავებული ვერსია აქვთ დაკავებულების ახლობლებს. ერთ-ერთი დაკავებულის ნათესავის თქმით, კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც გარდაცვლილებმა დარეკეს, ტელეფონში ბიჭებს აგინეს და დამტვრეული სარკის ფული მოსთხოვეს.

— ისიც გავიგეთ, რომ მხოლოდ ბიჭებს კი არა, ერთ-ერთის დედასაც დაურეკეს და დაემუქრნენ, შენი შვილი თუ ფულს არ მოიტანს, სახლში მოგივარდებითო და ქალსაც აგინეს, — ასეთია ეჭვმიტანილების ნათესავის ნაამბობი.

# ქართველი ქურდი კახა გალსკი რუსეთში „ქალთა ზონაში“ ჰყავთ

„ქართველი კანონიერი“ ქურდი კახა ფარფალია (გალსკი) კვლავ გისოსებს მიღმა რჩება.

ფარფალიას სამეგობრომ მილიონი დოლარი გამოყო მისი ციხიდან გამოშვების სანაცვლოდ და მას შემდეგ, რაც ქრთამს ხელი არ მოჰკიდეს, სასამართლოზე ფარფალიას გამოშვება თავდებით ითხოვეს და რუსული მართლმსაჯულებისთვის მაქსიმალური თანხა — მილიონი დოლარის გირაო შესთავაზეს.

— ხომ გჯერათ, რომ ეს მილიონი მანამდე მოსამართლეებს კულუარულად შესთავაზეს, მაგრამ მათ ხელი არ მოჰკიდეს. საქმე ისაა, რომ ფარფალიას საქმე პირად კონტროლზე ჰყავდა აყვანილი უშიშროების სამსახურს, მისი თანხმობის გარეშე კი მოსამართლეები მილიონზე კი არა, რუსეთის ბიუჯეტზე იტყვიან უარს.

შედეგად, სასამართლომ ფარფალია წინასწარ პატიმრობაში დატოვა და, რაც მთავარია, ის კვლავ „პეჩატნიკზე“, ქალთა ზონაში ჰყავთ.

ეს იმის გამო ხდება, რომ კაცების ციხეში შესულმა ფარფალიამ, შესაძლოა, ბუნტი მოაწყოს, მას მთელი ციხე აჰყვება და ამიტომ, რაიმე გართულების თავიდან ასაცილებლად, კახა სწორედ ქალთა ზონაშია, — ამბობს მოსკოვში მცხოვრები ქართველი.

რუსი სამართალდამცავებიც არ მალავენ, რომ ფარფალია ქალთა „ზონაში“ უსაფრთხოების გამო ჰყავთ —



ქალთა ციხეს ნამდვილად ვერ აიყოლიებს და ვერც „შუმოკს“ მოაწყობს. ის სამარტოო საკანშია გამოკეტილი და მასზე 24-საათიანი ვიდეოდაკვირვება მიმდინარეობს.

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი, რუსეთში ყველაზე გავლენიანი ქურდი, რომელიც თავისუფლებაზე იყო, უბრალოდ, გაიმეტეს. მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები, მინიმუმ, ათწლიან სასჯელს, მაქსიმუმ კი უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მას ადვოკატი თენგიზ პაპასქუა იცავს და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ფარფალიას შანსებს კიდევ უფრო ამცირებს. საქმე ისაა, რომ სწორედ პაპასქუა იცავდა შაქრო კალაშოვს და იმედი ჰქონდა, რომ თავისუფლებაზე გაიყვანდა, მაგრამ კალაშოვს გრძელვადიანი სასჯელი მისცეს,“ — წერს რუსული მედია.

# ფოთში ორმა მოზარდმა ჯეოსელის ოფისი გაქურდა



ფოთში კომპანია „ჯეოსელის“ ოფისი გაქურდეს. მოპარულია მობილური ტელეფონები.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დაკავებულია 2 არასრულწლოვანი.

„შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთში „ჯეოსელის“ ოფისის გაქურდვის ბრალდებით 2 არასრულწლოვანი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორი არასრულწლოვანი — 2001 წელს დაბადებული ნ.ხ. და 2002 წელს დაბადებული ლ.ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.ხ.-მ და ლ.ბ.-მ ფოთში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე „ჯეოსელის“ ოფისში ფარულად შეაღწიეს, საიდანაც მობილური ტელეფონები მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

პოლიციამ ორივე მათგანი ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ტელეფონები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს,“ — აცხადებენ შსს-ში.

# ლევან შონიას ბრალი წაუყენეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორს ბრალი წაუყენეს.

სუს-ის ინფორმაციით, ლევან შონია მოხელეების მიერ ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. უწყების ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2018 წლის მაისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის იმჟამინდელი გუბერნატორის ლევან შონიას თხოვნით, მის მიერ მითითებული პიროვნების — გ.ა-ს სახელზე, მისთვის გადასაცემად მოქალაქე ზ.კ-მ 10.000 აშშ დოლარი ჩარიცხა, რაც ლევან შონიას გადაეცა. ლევან შონიას მიმართ გამოძიება კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 340-ე მუხლით).



# გორში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს



გორში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატეხეს. შემთხვევა, სავარაუდოდ, 25 დეკემბერს, გვიან ღამით მოხდა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177 მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო.

## დონბასი: რუსეთი ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებს?!



ე.წ. დონეცკის რესპუბლიკის მილიციის მეთაურმა ედუარდ ბასურინმა განაცხადა, რომ უკრაინელები ქიმიური იარაღის გამოყენებას აპირებენ. უკრაინელი ექსპერტი ვიტალი კულიკი მიიჩნევს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენებას თავად რუსეთი ლამობს. შემდეგ ამაში უკრაინას დაადანაშაულებენ და უკრაინულ ქალაქებს დაბომბავენ.

– აშშ-მ სირია დაბომბა, რადგან ასადმა ქიმიური იარაღის გამოიყენა. ახლა რუსეთი მსგავსი სცენის განმეორებას უკრაინაში აპირებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ასადი ამ იარაღს მართლა იყენებდა, ჩვენ კი - არა, – ამბობს კულიკი.

## სიცილიაში მიწისძვრის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა



სიცილიაში მიწისძვრის შედეგად 4 ადამიანი დაშავდა და რამდენიმე შენობა დაზიანდა.

ხმელთაშუა ზღვის სეისმოლოგიური ცენტრის მონაცემებით, 4.9 მაგნიტუდის მიწისძვრა ქალაქ კატანიიდან 15 კილომეტრში დაფიქსირდა.

გზატკეცილზე ა18 – კატანია-მესინა – უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მოძრაობა აკრძალული იყო.

25 დეკემბერს იტალიის გეოფიზიკისა და ვულკანოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის სპეციალისტებმა ეტნას ვულკანის ახალი გაძლიერება დააფიქსირეს.

სეისმოლოგებმა დაახლოებით 150 მიწისქვეშა ბიძგი დააფიქსირეს.

## ისრაელმა სირია დაბომბა



ისრაელის საჰაერო ძალებმა სირიაში ტერორისტული დაჯგუფება „ჰეზბოლასა" და ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის სამხედრო ობიექტებზე იერიში მიიტანეს.

როგორც სირიული მედია იუწყება, საჰაერო იერიშის შედეგად განადგურებულია სულ მცირე სამი სამხედრო ობიექტი, მათ შორის „ჰეზბოლას" სამხედრო დანიშნულების საწყობები.

სირიული მედიის ინფორმაციით, ისრაელის მიერ გაშვებული რვა რაკეტა სირიის საჰაერო თავდაცვის სისტემების მეშვეობით განადგურებულია. არსებული ინფორმაციით, იერიშის მიტანისას ისრაელმა ასევე გამოიყენა უპილოტო მფრინავი აპარატები.

ისრაელის საჰაერო ძალებმა იერიში ლიბანის საჰაერო სივრციდან განახორციელეს.

დასავლეთ დამასკოს დაბომბვისას სამი სირიელი სამხედრო დაშავდა.

## რომის პაპი მშვიდობისთვის ლოცულობს




რომის პაპმა ტრადიციული საშობაო ლოცვა აღავლინა. პაპმა აქცენტი მშვიდობაზე გააკეთა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უკრაინას, რომელიც რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ იბრძვის.

პაპმა ხაზი გაუსვა, რომ ერთიანი უკრაინული ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის შექმნა უდავოდ დიდი მოვლენაა. მან გამოთქვა იმედი, რომ ამ ეკლესიის შექმნა ნაციონალურ კონსოლიდაციას და მშვიდობის დამყარებას ხელს შეუწყობს.

– სამწუხაროდ, ჯერჯერობით უკრაინაში ომი გრძელდება, – თქვა პაპმა.

პაპმა ყურადღება სხვა ცხელ წერტილებზეც გაამახვილა, სადაც ქუხან ზარბაზნები, ინგრევა სახლები, იღუპებიან ადამიანები.

– ჩვენ მთელს მსოფლიოში მშვიდობა გვინდა, – ამბობს პაპი.

## ლუკაშენკომ პუტინს გაზზე ფასი ვერ დააწევინა




მოსკოვში ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო ჩავიდა. ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა რუსეთ– ბელორუსის შემდგომი ინტეგრაციაა.

მოლაპარაკებები მთელი ოთხი საათის განმავლობაში გაგრძელდა. მათი დასრულების შემდეგ ტრადიციული პრესკონფერენცია არ ყოფილა. „რია-ნოვოსტის" ცნობით, ლუკაშენკომ თავის მთავარ მიზანს, გაზზე ფასის დაწევას, ვერ მიაღწია.

– ახალ წლამდე ჩემი და პუტინის კიდევ ერთი შეხვედრა შედგება, – თქვა ბელორუსის პრეზიდენტმა.

## ერაყში შობა სახელმწიფო დღესასწაულად გამოაცხადეს



თანახმად ერაყის მთავრობის დადგენილებისა, 25 დეკემბერი, ანუ შობა დღე, ოფიციალურ დღესასწაულად გამოცხადდა.

– ერაყი მუსლიმანური ქვეყანაა, მაგრამ აქ ქრისტიანებიც ცხოვრობენ. ისინი ჩვენი ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც სხვები, – ნათქვამია მთავრობის დადგენილებაში.

ამიერიდან შობა ერაყში ოფიციალური დღესასწაული იქნება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

### კალეიდოსკოპი

## არაბი ემირის გაუჩინარებული ქალიშვილი საზოგადოებას წარუდგინეს



არაბთა გაერთიანებული საემიროების ემირის ქალიშვილის ლატიფ ბინტ მოჰამედ ალ მაკტუმის ფოტოსურათები, მისი გაქცევის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ პირველად წარუდგინეს საზოგადოებას.

ქვეყნის ახალი ამბების სააგენტომ 24 დეკემბერს გამოაქვეყნა სახელმწიფო განცხადება იმის შესახებ, რომ ემირის გაქცეული ქალიშვილი დუბაიში სახლში თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს. 15 დეკემბერს ის მერი რობინსონს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის ყოფილ უმაღლეს კომისარს, შეხვდა. სააგენტომ მათი ერთობლივი ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, რომ დეკემბრის დასაწყისში გოგონამ სასახლიდან გაქცევა სცადა და თანამზრახველების დახმარებით იახტით თითქმის მიაღწია ინდოეთის სანაპიროს, მაგრამ იახტაზე სამხედროები ავიდნენ და ლატიფი წაიყვანეს.

მას შემდეგ გოგონას შესახებ არაფერი იყო ცნობილი და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამდნენ მისი მდგომარეობის გამო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# არსენ ვენგერი: „ფეხბურთში მალე შეცვლებს სოციალური ქსელებით გააკეთებენ“



თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელი არსენ ვენგერი ახლა უმუშევარია. ლონდონის არსენალში 22-წლიანი მუშაობის შემდეგ ფრანგმა სპეციალისტმა დასვენება გადაწყვიტა, თუმცა მზადაა, სამუშაოს 1 იანვრიდან დაუბრუნდეს.

ჯერჯერობით, ვენგერის ახალ სამუშაოზე მედია საუბრობს და უამრავ კლუბს უკავშირებს, მაგრამ კონკრეტული არაფერია.

მანამდე ვენგერი ინტერვიუებს არიგებს.

**არსენ ვენგერი:**

– როცა ინგლისში ჩავედი, მჯეროდა, რომ მთავარი მწვრთნელის სამუშაო 3 საბაზო დონისგან შედგებოდა: 1. მწვრთნელს უნდა მოჰქონდეს შედეგი და განსაზღვრავდეს გუნდის თამაშის სტილს; 2. ინდივიდუალურად მიუდგეს მოთამაშეების განვითარებას და მოარგოს ისინი სისტემას; 3. მისცეს აუცილებელი იმპულსი, რომელიც საჭიროა მთლიანად საფეხბურთო კლუბის განვითარებისთვის.

მე გამიმართლა, რადგან ინგლისში ჩასვლისას ეს სამივე ასპექტი შესრულებადი იყო. იმ დროს, პრემიერლიგაში განვითარების მხრივ, ახალი ეპოქა იწყებოდა. ყველაზე მეტად მაინტერესებდა, შემეძლო თუ არა საკუთარი წვლილის შეტანა მესამე ასპექტში. როგორც მწვრთნელს, მაინტერესებდა გამოწვევა – მოვახერხებდი თუ არა, არსენალი კიდევ უფრო დიდ კლუბად მექცია. დღეს ეს გაცილებით რთულია, რადგან მწვრთნელი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც ცდილობს მოგებას და შედეგის მიღწევას, აიძულებს ფეხბურთელებს, უკეთ ითამაშონ, მაგრამ, ამასთან, არაფერს ცვლის.

ჩემი სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში ფეხბურთელები ბედნიერები იყვნენ საკუთარ კლუბში თამაშის გამო. რა თქმა უნდა, მათ საკუთარი თავისთვის საუკეთესო კონტრაქტები უნდოდათ. მაგრამ, როცა ამას მიაღწევდნენ, ბედნიერები იყვნენ უბრალოდ თამაშის გამო. როცა რაღაც არ გამოსდიოდათ, თავს დამნაშავედ მიიჩნევდნენ. როცა იგებდნენ, თავს ერთ გუნდად გრძნობდნენ. თანდათან, წლებთან ერთად, პასუხისმგებლობის ეს დონე და მიდგომა შეიცვალა. ახლა უკვე კლუბი გრძნობს პასუხისმგებლობას ფეხბურთელზე. დღეს კლუბი გრძნობს დამნაშავედ თავს ფეხბურთელის წინაშე, თუ მოთამაშეს რაღაც არ გამოსდის ან რაღაცით უკმაყოფილოა.

***– ანუ, ფეხბურთელი უფრო მეტი გახდა, ვიდრე კლუბი?***

– არ ვიცი, მაგრამ ფეხბურთელების გავლენის დონე გაიზარდა. ვერავინ შემედავება იმაზე, რომ დღეს ცნობადი და საუკეთესო ფეხბურთელები კლუბების შიგნით კლუბებივით არიან. მათ გააჩნიათ სოციალური პასუხისმგებლობა. გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აქვთ საკუთარი თავის მიმართ.

დღეს, ფეხბურთელის ძალა და მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში ვრცელდება. მოთამაშეები გვიჩვენებენ მკაფიო სხვაობას ლოკალურ გულშემატკივრებსა და ფანებს შორის მთელ მსოფლიოში. სრულიად მსოფლიოს გულშემატკივართა ბაზა უფრო მეტად კონცენტრირდება პერსონებზე. მაგალითად, როცა კრიშტიანო რონალდო რეალიდან იუვენტუსში გადადის, მისი ფანები ასევე იცვლიან კლუბს. რაც უფრო მეტი თაყვანისმცემელი გყავს მსოფლიოში, მით უფრო მეტია თქვენი სიდიადე.

***– ფეხბურთელს ისე უნდა მოეპყრათ, როგორც მილიონერს?***

– თქვენ უნდა იყოთ უფრო დამაჯერებელი და საკუთარ თავში უფრო მეტად დარწმუნებული, რომ მოახერხოთ მილიონერი ფეხბურთელების მოტივირება. დიახ, თქვენ ფეხბურთელის მიმართ უნდა გქონდეთ ისეთივე დამოკიდებულება, როგორც მილიონერის მიმართ. უნდა დაარწმუნოთ ისინი, რომ საკმარისი რაოდენობის ინფორმაციას იღებენ. რადგან მათ გარშემო მუდმივად ტრიალებს უამრავი მრჩეველი.

საზოგადოება შეიცვალა – ფეხბურთელები უფრო პროფესიულები გახდნენ, მაგრამ ფეხბურთიც უკეთესი გახდა. ფსიქოლოგიური კონტექსტი გაცილებით ჩახლართულია. და ასევე, უფრო რთული გახდა ის ყველაფერი, რაც კლუბის გარშემოა. ყველას აქვს საკუთარი აზრი და ეს აზრი ვრცელდება მთელ მსოფლიოში. გაკრიტიკებენ მატჩამდე, მატჩის დროს და შემდეგ. ბოლო 20 წლის განმავლობაში, მოთამაშეებს უწევთ გაცილებით ძლიერად შეეწინააღმდეგონ სტრესს, რადგან მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა.

***– თქვენ რა სიტუაცია დაგხვდათ არსენალში?***

– ინგლისში ჩასულს გამიმართლა. ჩემი ფეხბურთელები საუკეთესოები იყვნენ. ამასთან, უმეტესი ნაწილი 30 წლამდე არ იყო მისული. მხოლოდ 9 მათგანი იყო 30 წელს გადაცილებული. ყველანი ჭკუით გამორჩეულნი იყვნენ. თითოეულს ჰქონდა ხასიათი. მაგრამ ის იყო დრო, როცა თქვენც შესაბამისად უნდა მოქცეულიყავით და ეს დრო დაემთხვა ფეხბურთში ტელევიზიიდან დიდი ფულის მოდინებას.

დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, ფეხბურთელს, რომლებიც 200.000 გირვანქა სტერლინგს იღებდნენ, მილიონამდე გაეზარდათ შემოსავალი. თანხები ყოველ წელს იზრდებოდა. ეს იყო ფანტასტიკა. ერთ წელიწადში უფრო მეტს იღებდნენ, ვიდრე წინა 4 წელიწადში ერთად. როცა კლუბში მივედი, იან რაიტის ხელფასი იყო 250.000. ის გუნდის ვარსკვლავი გახლდათ. და მისი ხელფასი გაიზარდა 1.200.000-მდე. მაგრამ ისინი მზად იყვნენ ამგვარი ცვლილებებისთვის, რადგან კარიერის განმავლობაში, ხელფასი თანდათან იზრდება. მაგრამ დღეს თქვენ აბსოლუტურად გაოგნებული დარჩებით, როცა გაიგებთ, რა თანხას იღებს 17 წლის კარგი ფეხბურთელი.

***– ანგრევს თუ არა ეს ფეხბურთს?***

– ყველაფერი დამოკიდებულია განათლებაზე, თუ ვინ იღებს ამ ხელფასს. აუცილებელია ეფექტურობის გათვალისწინებაც. ეს გარღვევა უკავშირდება უშუალოდ კონტრაქტების სტრუქტურას. ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულების შესანარჩუნებლად, შენ უნდა გააგრძელო მასთან კონტრაქტი. იმისთვის, რომ კონტრაქტი გაახანგრძლივო, უნდა გაზარდო ხელფასი. ეს ყველაფერი წარმოშობს ინფლაციას. ვფიქრობ, ამან მართლაც შეიძლება მოკლას ფეხბურთელებში სწორედ ის შიმშილი.

ყოველთვის ვცდილობ დავაკვირდე იმას, რამდენად „მშიერი“ ხარ ცხოვრებაში და რა გაინტერესებს. არიან ადამიანები, რომლებიც უმაღლეს დონეზე იმყოფებიან, მაგრამ კვლავაც რჩებიან კონკურენტუნარიანებად. მათი მოტივაცია ფული არ არის. რატომ იგებენ ფედერერი, ნადალი ან ჯოკოვიჩი ყოველ წელს? რადგან მათ სხვა სტიმულებიც აქვთ, ფულის გარდა. და თუ მოთამაშე მხოლოდ ფულადი ჯილდოთია მოტივირებული, ამან მართლაც შეიძლება მოკლას შიმშილი.

***– ანუ, სპორტსმენებისთვის უმთავრესი მოტივაცია უნდა იყოს?***

– ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც არსებობს ხელოვნური ინტელექტი. ჩვენ, უბრალოდ, გადატვირთულნი ვართ ინფორმაციით, რომლის დიდ ნაწილს საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვს. ხანდახან, გასახდელში შესვენებაზე სავსე ხარ ემოციებით. შენ უნდა გაფილტრო ის, რაც მართლაც მნიშვნელოვანია. თანამედროვე მწვრთნელი თავის შინაგან ხმას უნდა ენდოს. მას თავში ასობით სხვადასხვა აზრი უტრიალებს. მაგრამ აუცილებელია კონცენტრირება 3-4 მნიშვნელოვან ამბავზე, რომელიც შეიძლება დაგეხმაროს და გავლენა იქონიოს მატჩის მეორე ნახევარზე, უკვე თავისუფლად შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მომდევნო დონე, ეს არის თამაშზე გავლენა სოციალური ქსელების მეშვეობით.

მაგალითად: შეცვლები განხორციელდება ხმის მიცემის მეშვეო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ალან შირერი: „მოურინიო შეგნებულად გააგდეს“



ინგლისის ნაკრების და ნიუკასლის ლეგენდა, ალან შირერი მიიჩნევს, რომ ჟოზე მოურინიო გუნდიდან გააგდეს. შირერის აზრით, მანჩესტერ იუნაიტედს, უახლოეს რამდენიმე მატჩში შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავს და ახალი მწვრთნელის მოსაყვანადაც ეს პერიოდი შეგნებულად დაამთხვიეს.

ალან შირერი:

– მანჩესტერს 5 გოლი ერთ მატჩში ალექს ფერგიუსონის წასვლის შემდეგ აღარ გაუტანია. ის, რომ გუნდმა ახალი მწვრთნელის ხელში 5 გოლი სასტარტო მატჩშივე გაიტანა, პოზიტიური ფაქტია. ჩემი აზრით, არ ღირს ეიფორიაში ჩავარდნა იმ გუნდის დიდი ანგარიშით დამარცხების გამო, რომელიც პრემიერლიგაში მიმდინარე სეზონში დაბრუნდა და გადარჩენისთვის იბრძვის. მოდით, ვიყოთ ობიექტურები: მანჩესტერ იუნაიტედმა ახალი მწვრთნელისთვის იდეალური დრო შეარჩია. გუნდს ამ პერიოდში პრემიერლიგაში შედარებით მარტივი განრიგი აქვს. მოურინიოს გაშვებაც შეგნებულად სუსტ მეტოქეებთან მატჩებს დაამთხვიეს.

შეგახსენებთ, სოლსკიაერს მანჩესტერის მწვრთნელის რანგში დებიუტი კარდიფთან ჰქონდა და 5:1 მოიგო, უახლოეს 3 ტურში კი ჰადერსფილდს, ბორნმუთს და ნიუკასლს დაუპირისპირდება.

## რაფა ბენიტესი: „დღევანდელი ლივერპული უფრო იდეალურია“

2005 წლის ჩემპიონთა ლიგის დრამატული ფინალი ბევრს ემახსოვრება და ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის დიდხანს შემორჩება მეხსიერებაში. მაშინ მილანი პირველი ტაიმის შემდეგ 3:0 ამარცხებდა ლივერპულს, მაგრამ ინგლისელებმა მოახერხეს თამაშის შემოტრიალება. მაშინ მერსისაიდელებს რაფა ბენიტესი წვრთნიდა...

ლივერპული წელსაც ჩინებულ ფორმაშია, ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს, რომლის ფინალშიც გასულ სეზონშიც გავიდნენ, მაგრამ რეალთან დამარცხდნენ. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა ლივერპული კიდევ ერთხელ აღმართოს ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასი. თუმცა, იქამდე დროა.

სადღეისოდ ნიუკასლის მთავარმა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა



განაცხადა, რომ რთული სათქმელია 2005 წლის ლივერპული უფრო ძლიერი იყო თუ ამჟამინდელი. სამაგიეროდ, ესპანელი სპეციალისტი ხაზს უსვამს დღევანდელი რეალობის აშკარა უპირატესობას – გუნდს არ სჭირდება ფეხბურთელების გაყიდვა ახლების დასამატებლად.

**რაფა ბენიტესი:**

– რთული სათქმელია, რომელი ლივერპულია უკეთესი. დაუვიწყარია ის, რომ რეალსა და ბარსელონას უპრობლემოდ ვამარცხებდით. შესანიშნავი გუნდი იყო. ვფიქრობ, რომ ამჟამად ლივერპულის შემადგენლობა უფრო იდეალურია. როდესაც თანხას ხარჯავ კარგი ფეხბურთელების მოსაყვანად და ამასთანავე ახერხებ ბირთვის შენარჩუნებას, შემადგენლობა გაცილებით ძლიერდება. მაგალითად, „წითლებმა“ გაიფორმეს ფაბინიო და კეიტა, მაგრამ ამასთანავე შეინარჩუნეს ჰენდერსონი და ვეინალდუმი. ლივერპულს აქვს რესურსი, რათა შემადგენლობის როტაცია მოახდინოს და მიუხედავად ამისა, მოედანზე მათ რიგებში უძლიერესი თერთმეტეული იყოს. ჩემს დროს ფეხბურთელების დასამატებლად ფეხბურთელებს ვყიდდით.

## იუვენტუსი დე ლიხტს გადაიბირებს და პოგბას შეძენას შეეცდება



როგორც იტალიური მედია იტყობინება, ტურინის იუვენტუსსა და ამსტერდამის აიაქსს შორის მოლაპარაკებები ფრენკ დე ლიხტის ტრანსფერზე პროდუქტიულად ვითარდება.

მილანში ერთმანეთს მინო რაიოლა, ფაბიო პარატიჩი და დე ლიხტი შეხვდნენ. ბუნებრივია, საქმე ახალგაზრდა ცენტრალურ მცველს ეხებოდა, რომელმაც ბოლო პერიოდში საკუთარი პერსონის მიმართ დიდი ყურადღება მიიპყრო.

აიაქსის და ახლა უკვე ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების სასტარტო წევრის სანაცვლოდ ბიანკონერი მზად არის, 70-80 მილიონი გაიღოს, ხოლო თავად ფეხბურთელს 5-წლიანი კონტრაქტი და სეზონში 4 მილიონი ევრო გადაუხადოს.

რაიოლა პოზიტიურად აფასებს მოლაპარაკებებს და ახლა საქმე უკვე თავად კლუბზეა. თავის მხრივ, არც ამსტერდამელები არიან უარზე, რადგან იუვე უკვე გასულია მათთან კონტაქტზე. პარატიჩიმ ჰოლანდიელ კოლეგებს აცნობა, რომ ფეხბურთელის შეძენით სერიოზულად არის დაინტერესებული.

საგულისხმოა, რომ ტურინელები მზადყოფნას გამოთქვამენ, არსებულ გარიგებაში მოიზეს კინის კონტრაქტი სრულად ჩართონ.

ეს შეთავაზება აიაქსისთვის საინტერესოა, რადგან ახალგაზრდა ფორვარდს დადებითად აფასებენ.

ტურინელებს მანჩესტერ იუნაიტედიდან პოლ პოგბას გადაბირებაც სურთ და არ არის გამორიცხული, ამაში თავად ინგლისური კლუბი დაეხმაროს.

როგორც იტალიური გამოცემები წერენ, იუნაიტედის კოშტასადმი დაინტერესების შესახებ ინტერესი იზრდება. ბრაზილიელის ხილვა ინგლისურ კლუბს სწყურია, რომელმაც 80 მილიონი შესთავაზა იუვეს, მაგრამ უარი მიიღო. ახალი ცნობებით ინგლისელები მზადყოფნას გამოთქვამენ სატრანსფერო თანხა 90 მილიონამდე გაზარდონ, რითაც ტურინელთა ბარიერის დაძლევას კიდევ ერთხელ ეცდებიან.

თავის მხრივ, არის მოსაზრება, რომ პარატიჩი სასიკეთოდ გამოიყენებს ამ გარემოებას და იუნაიტედს კოშტას სანაცვლოდ პირდაპირ მოსთხოვს ტრანსფერში პოლ პოგბას ჩართვას.

იუვეს მთელი ზაფხულის განმავლობაში აქტიურად უკავშირებდნენ ფრანგს და იგივე გრძელდება ბოლო 2 თვის მანძილზე. არსებობს ასეთი ვერსია – თუ იუნაიტედი რეალურად გადაწყვეტს კოშტასთვის ყველაფრის გაღებას და შუახაზელის დათმობას, მაშინ პოგბას ტრანსფერში ჩართვა შესაძლებელია.

## ანანიძის გადაბირება კრილიას მოუნდა



საქართველოს ნაკრების წევრი ჯანო ანანიძე აგერ უკვე მე-11 წელია მოსკოვის სპარტაკის ფეხბურთელია. აქედან ერთი სეზონი როსტოვში იყო იჯარით განათხოვრებული, სადაც ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა, ძირითადში თამაშობდა და რუსეთის თასიც მოიგო. „სახალხო გუნდში“ კი, შეიძლება ითქვას, ფეხი მყარად ვერ მოიკიდა. ამის მიზეზი ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, ხშირი ტრავმიანობაც იყო.

მომავალი წლიდან ჯანო სპარტაკს დატოვებს. როგორც უკვე ვწერდით, გუნდი მასთან გამოთხოვებას აპირებს.

ამასობაში სამარის კრილია სოვეტოვი მზადაა, სპარტაკიდან დათხოვნილი ფეხბურთელები „შეიფაროს“. კრილიას სპორტული დირექტორის, ალექსანდრე შიკუნოვის განცხადებით, გუნდი მზადაა, ყველა ის ფეხბურთელი, რომლებიც სპარტაკს დატოვებენ, თავისთან მიიპატიჟონ. ამიტომაც, არ გამოვრიცხოთ, რომ ჯანო ანანიძემ კარიერა სწორედ კრიალია სოვეტოვში გააგრძელოს.

სამარული კლუბის პრეზიდენტი ვიტალი შაშკოვი ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 26 წლის ნახევარმცველით დაინტერესებულები არიან.

– კრილია სოვეტოვს ჯანო ანანიძე სურს, თუმცა ეს სრულყოფილი ტრანსფერი იქნება თუ იჯარა, ამაზე საუბარი ჯერ არ მსურს. გპირდებით, რომ ყველა ახალწვეულის შესახებ მაშინ გაიგებთ, როდესაც გუნდი მოსკოვში შეიკრიბება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# არსენ ვენგერი: „ფეხბურთში მალე შეცვლებს სოციალური ქსელებით გააკეთებენ“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბით. ადრე თუ გვიან, ეს მოხდება. თუმცა, პირადად მე ამას არ მივიღებ. მე ძველი სკოლა ვარ. მაგრამ ჩვენ მართლა მივდივართ ამ მიმართულებით. ვერც კი წარმოგიდგენიათ, რამდენად ძლიერია სოციალური ქსელები. კიდევ უფრო უარესია ის, რომ უკიდურეს შეხედულებებს იზიარებს არა უმრავლესობა, არამედ უმცირესობა. ეს ჰგავს დემოკრატიის პრობლემას, სადაც არსებობს უმცირესობის დიქტატურა.

თუმცა, ჯერ არ დასრულებულა ეპოქა, რომელშიც შეგიძლია ფეხბურთის ყურებისას მხოლოდ საკუთარ თვალებს ენდო. ჩემთვის ჯერ ისევ მნიშვნელოვანია ის, რასაც, ძირითადად, ინტუიციას უწოდებენ. ასევე მნიშვნელოვანია შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბების პერიოდში, როცა ვუსმენთ ახლობელი ადამიანების საუბრებს ფეხბურთზე. ეს ყველაფერი თანდათან აყალიბებს შენს საკუთარ აზრს და საკუთარ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხზე. მაგრამ, სავსებით ვუშვებ, რომ 20 წლის შემდეგ, მწვრთნელის ადგილზე რობოტები ისხდებიან.

***– სამუშაოს შესრულების დროს გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებთ?***

– ოჯახი ხშირად მეუბნება, რომ ჯიუტი ვარ. შესაძლოა ასეც იყოს. პატიოსნად ვცდილობ მოვუსმინო ადამიანებს, მაგრამ ადამიანს საკუთარი აზრი უნდა გაგაჩნდეს. როცა მისდევ სხვის რჩევას და საბოლოოდ, ამით შეცდომას უშვებ, მაშინ იმედგაცრუებული ხარ და უფრო მეტად ბრაზობ, რადგან საკუთარ თავს არ დაუჯერე. ჩვენს სამუშაოში გარკვეულ ეტაპებზე უნდა გააკეთო ის, რაც სწორად მიგაჩნია. ეს სამუშაო მარტოხელებისთვისაა.

როცა არსენალში მივედი, იქ ბევრი ფეხბურთელი საკმაოდ ჭკვიანი იყო იმისთვის, რომ მწვრთნელები გამოსულიყვნენ. მაგრამ მზად ხარ თუ არა მსხვერპლის გაღებისთვის? და ეს ეხება ყველანაირ მსხვერპლს. ეს არის სამუშაო, რომელიც შენს ტვინში შედის და არასოდეს იქიდან არ გამოდის. თუ შენ ახერხებ, რომ ამით ბოლომდე არ იცხოვრო – ფანტასტიკაა.

***– ახლა როგორ ცხოვრობთ ამის გარეშე?***

– ჩემი ერთ-ერთი ახალი გატაცებაა მწვრთნელებზე და მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე დაკვირვება და ჩემს შეცდომებთან შედარება. მაგრამ დააკვირდით, ხანდახან როგორ განიცდიან და ცდილობენ არ შეიმჩნიონ. ცდილობენ გაუმკლავდნენ. ვიცი, როგორ მდგომარეობაში მიდიან ისინი სახლში წარუმატებლობის შემთხვევაში. ყოველთვის გიწევს ფოკუსირება შეცდომებზე და უმცირესი დეტალების გაანალიზება. განსაკუთრებით ახლა, როცა ყველაფერი სწრაფად ხდება და უკვე ზედიზედ 2 წაგებული მატჩის შემდეგ, შენი სავარძელი ირყევა. ეს რთულია.

ერთია, მთელი ჩემი ცხოვრება არ მივდიოდი კომპრომისებზე და ყველაფერს ვაძლევდი საკუთარ კლუბს. ვეთანხმები იმას, რომ ვუშვებდი შეცდომებს და არასწორ გადაწყვეტილებებს ვიღებდი. მაგრამ ვამაყობ იმით, რომ სუფთა ვარ და არ მიღალატია საკუთარი ღირებულებებისთვის.

***– ამჟამად უმუშევარი თავს პენსიაზე ხომ არ გრძნობთ?***

– სულაც არა. მხოლოდ იმის გამო ვარ განაწყენებული, რომ დღეს არავისთან მიწევს კონკურენცია. ბევრი რამ მენატრება. მაგალითად, ის, რაც ხდებოდა მატჩამდე და მატჩის დროს. მენატრება გამარჯვებები, სადამდეც ერთად მივდიოდით, ემოციების გაცვლა, მეტოქეობა... რა თქმა უნდა, მენატრება, რადგან ეს ჩემი ცხოვრების ნაწილია. თუ სიმართლე გაინტერესებთ, ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ დასვენება მჭირდებოდა. არსენალიდან წასვლის შემდეგაც, ბოლომდე აღდგენა არ გამომივიდა. მსოფლიოს ჩემპიონატის დროს, ფეხბურთით ვიყავი დაკავებული. ხუთჯერ ვიმგზავრე პარიზიდან მოსკოვში და უკან. მაგრამ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ჩვეულებრივ, ახალ სეზონს ვიწყებდი. ახლა კი ჩემ წინ კედელი აღიმართა. მაგრამ მე არ დამიმთავრებია. თუ შენ კიდევ გაქვს ინტერესი ცხოვრებისადმი, ესე იგი გსურს იყო სასარგებლო და აკეთო რაღაც ღირებული. ჩემი უპირატესობა იმაშია, რომ შეუჩერებლად ვიმუშავე და თამაშში ვიყავი 35 წელი. ახლა შემიძლია ჩემი ცოდნა გავუზიარო ადამიანებს... თუ შენ ამას არ აკეთებ, მაშინ ცხოვრება ოდნავ უსარგებლო ხდება. შენ არ უნდა დატოვო ეს სამყარო ისე, რომ არ გქონდეს მცდელობა – გაუზიარო დანარჩენებს რაღაც. მთელი ცხოვრება ვცდილობდი მომესმინა ადამიანებისთვის, რომლებმაც ჩემზე მეტი იცხოვრეს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## დელფინებმა ზვიგენი გააგდეს და ადამიანები გადაარჩინეს

ავსტრალიელმა მზარეულმა დენის ტირნიმ ვიდეოზე გადაიღო დელფინების ჯგუფი, რომლებმაც ზვიგენი მყვინთავების ჯგუფს მოაშორეს.

ტირნი მეგობრებთან ერთად კუნძულ ლორდ-ჰაუს მახლობლად წყალქვეშა ცურვით იყო დაკავებული, რომელიც ტასმანიის ზღვაში სიდნეიდან 770 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

მისი თქმით, მათთან მაშინვე მიცურდნენ მეგობრულად განწყობილი დელფინები. ამავე დროს, სიღრმეში უსაფრთხო მანძილზე გალაპაგოსური ზვიგენები ტრიალებდნენ.



როდესაც ერთ-ერთი მტაცებელი თევზი ადამიანებისკენ გამოემართა, მას დელფინებმა შეუტიეს და აიძულეს, იქაურობას გასცლოდა.

– მე მსმენია მითები ადამიანების დამცველ დელფინებზე, რომლებიც მათ ზვიგენებისგან იცავენ, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, აქამდე ამის არ მჯეროდა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ტირნმა.

გალაპაგოსური ზვიგენები სიგრძეში 3,7 მეტრამდე აღწევენ და ადამიანებისთვის საფრთხის შემცველებად ითვლებიან. იმ ადგილებშიც, სადაც ისინი ჯგუფებად თავს იყრიან, ადამიანებს ზღვაში ჩაყვინთვისგან თავის შეკავებას ურჩევენ.

## ახალბედამ თვითმფრინავი ავარიულად დასვა შოსეზე და ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გაიქცა

აშშ-ში დამწყებმა პილოტმა პატარა თვითმფრინავი ავარიულად დასვა შოსეზე, რის შემდეგ კაბინიდან გადმოხტა და ბუნებრივი მოთხოვნილება იქვე, გზის პირას დაიკმაყოფილა.



ინციდენტი ალაბამას შტატის ტალადიგას ოლქის ტრასაზე მოხდა. პატარა თვითმფრინავი მუნიციპალური აეროპორტიდან აფრინდა, თუმცა 6-8 კილომეტრის გავლის შემდეგ ძრავამ უმტყუნა.

თვითმფრინავში იმყოფებოდნენ პილოტი, რომელიც პირველად იჯდა საჭესთან და ავიაინსტრუქტორი ჯიმი უილიამსი ფრენის 36 წლიანი გამოცდილებით. ამ უკანასკნელმა გადარჩენის ყველა ვარიანტს გადახედა და საბოლოოდ შოსეზე, რომელზეც იმ მომენტისთვის არც ისე ბევრი მანქანა მოძრაობდა, დაფრენის გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც კი თვითმფრინავი შოსეზე დაჯდა, შეშინებული ახალბედა პილოტი კაბინიდან გადმოხტა გაოგნებული მძღოლების თვალწინ გზის პირისკენ გაიქცა.

ეს ყოველივე მანქანით მიმავალმა ოჯახურმა წყვილმა ვიდეოზე გადაიღო, რომელთაც თან ორი ბავშვი ახლდათ. ქალმა მეუღლეს სთხოვა, რომ თვითმფრინავთან ახლოს მისულიყო იმ შემთხვევისთვის, თუ მფრინავებს სამედიცინო დახმარება დასჭირდებოდათ. თუმცა პილოტმა მათ ხელით ანიშნა, რომ ყველაფერი კარგად იყო. ხოლო როდესაც მან შარვალი ჩაიხადა, ქალმა ბავშვებს თვალების დახუჭვა სთხოვა.



## ნარკომოვაჭრემ მარიხუანა რონალდუს გამოსახულებიან პაკეტებში შეფუთა

საფრანგეთის ქალაქ მარსელის პოლიციელებმა ნახევარი კილოგრამი მარიხუანა ამოიღეს, რომელიც პორტუგალიელი ფეხბურთელის კრიშტიანუ რონალდუს გამოსახულებიან პაკეტებში იყო დაფასოებული.

ნარკოტიკების წონამ 517 გრამი შეადგინა. გარდა ამისა, პოლიციელებმა ნარკოდილერის ბინაში ასევე 50 გრამი კოკაინიც აღმოაჩინეს.

ეჭვმიტანილი დაპატიმრებულია და მისი სასამართლო მომავალი წლის იანვარში გაიმართება.

## გულუხვი სტუდენტები კალენდრისთვის გაშიშვლდნენ

ბრიტანეთის ბრისტოლის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საქველმოქმედო კალენდრისთვის გამართულ ეროტიკულ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა.



გადაღებებში 12-მა სხვადასხვა სტუდენტურმა წრემ მიიღო მონაწილეობა: ბადმინტონის წრის სტუდენტებმა ფოტოსურათები ჩოგნებით გადაიღეს, მოფარიკავეებს სახეზე ნიღბები ეკეთათ, ხელში კი დაშნები ეჭირათ, ალტიმატ ფრისბის წრის წევრებს სასროლი თეფშები ჰქონდათ აფარებული, ხოლო თეატრალური წრის წევრებმა სპექტაკლის რეპეტიცია გაითამაშეს. ყველა ფოტოზე გენიტალიები და ქალის მკერდი სხვადასხვა საგნებით ან, უბრალოდ, ხელებითაა დაფარული.

აღნიშნული კალენდარი უნივერსიტეტის მაღაზიასა და ინტერნეტში იყიდება, ხოლო მათი რეალიზაციიდან შემოსული მთელი თანხა სამ ადგილობრივ საქველმოქმედო ფონდში ჩაირიცხება.

აქციის ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ კალენდრისთვის გადაღებები უკვე კეთილ ტრადიციად სტუდენტების სუფთა ენთუზიაზმის წყალობით იქცა. პირველი ტირაჟი უკვე გაიყიდა და მისმა შემოსავალმა 700 ფუნტი სტერლინგი შეადგინა. ახალი წლისთვის სტუდენტები კიდევ ერთი ტირაჟის დაბეჭდვას გეგმავენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 27 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ეჭვების საფუძველი არ გაქვთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. გეგმები გეცვლებათ. **კურო** – საკუთარი პრინციპები დროებით გვერდზე გადადეთ და სხვისი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედეთ. **ტყუპები** – აქტიური დასვენება თქვენს ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებს. საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. **კირჩხიბი** – აფორიაქებული ხართ. პესიმიზმი გიტევთ. სასარგებლოა ფიზიკური შრომა. **ლომი** – ახალი გატაცებები, ნაცნობობა, ურთიერთობების გაფართოება დღის დევიზია. იყავით დამოუკიდებელი. **ქალწული** – ძალზე აქტიური და შემოქმედებითი დღეა. სიძნელეებს მარტივად გადალახავთ. **სასწორი** – ნეგატიური დღეა. თავს ნურავის მოატყუებინებთ. ურთიერთობებში ორაზროვნება ჭარბობს. **ღრიანკალი** – წარმატებული დღეა. მიზნის მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. ქალები საკუთარ ტალანტს საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩენთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ხართ. ნებისმიერი საქმე თამამად დაიწყეთ. **თხის რქა** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება რეკომენდებული არ არის. **მერწყული** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **თევზები** – დღეს ცხოვრებისეული სიტუაცია რეალურად შეგიძლიათ უკეთესობისკენ შეცვალოთ. გამართლებულია მსხვილი შენაძენი. ემოციებს ნუ გამოავლენთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველებური, ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. პორტუგალიური ღვინო; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ბერიკაობის ერთ-ერთი მონაწილე, დევის ნიღაბი; 8. კომბინაცია პოკერში; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ტვინის შერყევა; 16. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი; 17. გერმანული ავტომობილი; 18. ღვინის სასმისი.

**თარაზულად:** 1. საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 9. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ნეაპოლის ყურეში; 10. ქართული ტელეკომპანია; 13. ფულის ერთეული მონღოლეთში; 14. ქვანახშირის, ქვიშის გადასაზიდი, თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. გემის მზარეული; 19. ქართველი სუმოისტი; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფაჩულია; 2. რენო; 3. თერგი; 4. პრაიდი; 6. მაშარაბი; 9. რუტინა; 13. კარდიფი; 14. პაოლინი; 15. პოპოლო; 17. ლხინი; 18. ჩხუტი; 20. იედო.

**თარაზულად**: 1. ფერხისა; 5. დრამი; 7. გეიმერი; 8. ჩონგური; 10. ჰერში; 11. გუელი; 12. შატილი; 16. სახიბი; 17. ლანჩა; 19. როქი; 21. ეოლითი; 22. ანკეტა; 23. კოპიჭი; 24. მიმინო.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. რობაია; 2. ემოცია; 3. ბერგმანი; 4. ფირუზი; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. რიტორიკა; 12. უოტსონი; 16. ბორდო; 17. ჩანგი; 18. დათვი.

**თარაზულად**: 1. როლექსი; 5. ხრამი; 7. რეგალია; 9. ავიცენა; 10. კუპდარი; 13. ბოლნისი; 14. წიწაკა; 15. რომი; 19. ქსენონი; 20. სამთავრო; 21. პორტვეინი; 22. ბადაგი.

## კალეიდოსკოპი

## ქალს ფეხმძიმობა კიბო ეგონა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებ ქალბატონს რამდენიმე თვის მანძილზე ფეხმძიმედ ყოფნა საკვერცხის კიბო ეგონა.

წლის დასაწყისში 45 წლის ჯენი ფერნერის და 43 წლის გერის ერთადერთმა 20 წლის ქალიშვილმა მშობლების სახლი დატოვა და ოჯახურმა წყვილმა თავიანთ ცხოვრებაში ახალი თავის დაწყების აღსანიშნავად საბერძნეთში კრუიზი შეუკვეთა. აპრილში ქალმა თავი შეუძლოდ იგრძნო: მუდმივად გულისრევის შეგრძნება ჰქონდა, გამუდმებით ტუალეტში დადიოდა და წელის ტკივილს განიცდიდა.

ის შეშინდა, რომ კიბო ჰქონდა და ექიმთან მივიდა. მან თავის მხრივ ქალი ულტრაბგერით გამოკვლევაზე გააგზავნა და ბრიტანელმა მისდა გასაკვირად აღმოაჩინა, რომ ხუთი თვის ფეხმძიმე იყო.

ფერნერს მთელი ცხოვრება საკვერცხეების პოლიკისტოზი აწუხებდა და ამიტომ მისი დაფეხმძიმების შანსი მინიმალური იყო. მას შემდეგ, რაც ოცზე მეტი წლის წინ გაჭირვებით მოხერხდა მისი დაფეხმძიმება და შემდეგ გოგონას გაჩენა, ის და მისი მეუღლე შეეგუენ იმ ფაქტს, რომ მათ ბავშვები აღარ ეყოლებოდათ.

მათ შეეძინათ ბიჭი, რომელსაც ოლივერი დაარქვეს. ფერნერმა აღიარა, რომ მისთვის დედობა ადვილი არ ყოფილა.

– წლის დასაწყისში ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. ახლა კი მიხარია, რომ ახალ წელს ამ საოცარი ბავშვით ვხვდები, – განაცხადა ჯენი ფერნერმა.

## მძღოლმა ლატარიის ბილეთი მანქანაში იპოვა და მილიონი მოიგო




ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა აღმოაჩინა, რომ ლატარიის ბილეთით, რომელიც ავტომობილში დაკარგა, მილიონი დოლარი მოიგო.

51 წლის პიტერ დელიუკამ ლატარიის ბილეთი ჯერ კიდევ ოქტომბერში შეიძინა, თუმცა მაშინვე გადაავიწყდა. ორი თვის შემდეგ, მან ბილეთი მანქანაში იპოვა და სუპერმარკეტში შევიდა მის შესამოწმებლად.

– გამყიდველმა ბილეთი შეამოწმა და მითხრა, რომ ასეთი დიდი მოგების ჩემთვის მოცემა არ შეეძლო. მან სურათის ნომრები ამომიბეჭდა, რათა თავად შემემოწმებინა ბილეთი და მენახა, თუ რა თანხა მქონდა მოგებული, – განაცხადა დელიუკამ.

მის ბილეთში ხუთივე ნომერი დაემთხვა ლატარიის გათამაშების დროს ამოსულს. შედეგად დელიუკამ ჯეკპოტი მილიონი დოლარი მოხსნა.

– დღემდე ჯერ კიდევ ვერ გავითავისე მოგება, თუმცა თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ, ვინაიდან ვხვდები, რომ გაცილებით უფრო კომფორტული სიბერე მელოდება, როდესაც პენსიაზე გასვლას გადავწყვეტ, – აღნიშნა ამერიკელმა.

## ნიანგმა მდინარეზე მისული ბავშვი გაიტაცა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბავშვი, რომელიც მდინარის ნაპირზე თეთრეულს რეცხავდა, ნიანგმა გაიტაცა.

ინციდენტი ლიმპოპოს პროვინციის ქალაქ ტხოხოიანდოუს მახლობლად მოხდა. პოლიციის მონაცემებით, ბოლოს ბიჭი მდინარესთან ნახეს. ის თეთრეულს მეგობრებთან ერთად იმ გუბურის მახლობლად რეცხავდა, რომელიც იმითაა ცნობილი, რომ მის მახლობლად მუდმივად ხდება ადამიანებზე ნიანგების თავდასხმა. ერთ-ერთი რეპტილია წყლიდან მოულოდნელად ამოხტა და ბავშვი წყლის სიღრმისკენ გაიტაცა.

პოლიციისთვის ინციდენტის შესახებ ცნობილი მეორე დღეს გახდა და მაშინვე ბავშვის სამძებრო სამუშაოები დაიწყო, თუმცა სამაშველო სამუშაოების შეწყვეტა მალევე მოუხდათ, ვინაიდან უკვე საკმაოდ ბნელოდა. პოლკოვნიკ მოატშე ნგოენეს თქმით, სამძებრო სამუშაოები მეორე დილით განახლდა, თუმცა ბავშვის სხეული აქამდე ნაპოვნი არაა.

პოლიციამ მშობლებს ურჩია, რომ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ თავიანთი შვილების მიმართ და არ გააგზავნონ მდინარეზე, ვინაიდან ბოლო დროს ნიანგების თავდასხმები ძალიან გახშირდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნინო სურგულაძის დებიუტი ვერდის ქალაქში წარმატებით შედგა



ოპერის მომღერლის ნინო სურგულაძის დებიუტი ვერდის ქალაქში წარმატებული აღმოჩნდა.

„აზუჩენას პარტია დამატყვევებელი იყო“ – ასე შეაფასეს ქართველი მეცო სოპრანოს გამოსვლა იტალიაში პარმის ფარნეზეს თეატრში „ტრუბადური“-ს პრემიერაზე დამსწრეებმა.

ნინომ საოპერო სპექტაკლში მთავარი აზუჩენას პარტია შეასრულა. ოპერის მომღერალმა ასევე მონაწილეობა მიიღო გალა-კონცერტში ქალაქ პარმაში, რომელიც ვერდის 205 წლის იუბილეს მიეძღვნა.

პარმის მაყურებელი საოპერო სამყაროში განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა, კერძოდ, ვერდის რეპერტუარში. ამიტომაც პარმაში გამოსვლას ბევრი ერიდება. „ტრუბადური“ წელს ვერდის ქალაქში პარიზული, ფრანგული უიშვიათესი კრიტიკული გამოცემის მიხედვით დაიდგა, იგი განსხვავდება იტალიური ვერსისგან მრავალი დეტალით, მასში დამატებულია 20-წუთიანი საბალეტო ჩართვა. პარმაში განხორციელდა ძალიან იშვიათი კულტურული მოვლენაც, შედგა აბსოლუტური მსოფლიო პრემიერა. ლონდონმა პარმის ფესტივალი გასულ წელს, როგორც საუკეთესო, ოსკარით დააჯილდოვა. სპეციალურად ფესტივალზე დასასწრებად მსოფლიოს 6 კონტინენტიდან თავს იყრიან ხელოვნების მოყვარულები და მსოფლიო მნიშვნელობის მუსიკალური კრიტიკოსები.

– ვერდის ქალაქში მეორედ ვიმყოფები, ხოლო ფესტივალში კი პირველად ვიღებ მონაწილეობას, ფაქტობრივად, ეს იყო ჩემი დებიუტი. ჩემთვის დიდი პატივია ამ ფესტივალში მონაწილეობის მიღება. რაც შეეხება ოპერა „ტრუბადურს“, განსაკუთრებით საოცარია ფრანგული ვერსია, ნატიფი და კიდევ უფრო დახვეწილი. ეს წარმატება არის შემოქმედებითი გუნდის დიდი დამსახურება: მაესტრო რობერტო აბბადოსა და ბობ უილსონის, ჩემი ფანტასტიური კოლეგების, საოცარი ორკესტრისა და გუნდის, მიმანსის, თითოეული თეატრის თანამშრომლის პროფესიონალიზმისა და საქმისადმი დიდი სიყვარულის დამსახურება! მადლობა მათ, რომ მომცეს საშუალება ასეთი სიამოვნება მიმეღო! როგორც იტალიელები იტყვიან: „ვივა ვერდი!“ – ასე გამოხატა მადლიერება ნინო სურგულაძემ წარმატებული დებიუტის შემდეგ.

„ტრუბადურის“ რეჟისურა ამერიკელ ბობ რობერტ უილსონს ეკუთვნის, იგი მსოფლიო საუკეთესო რეჟისორთა სამეულში შედის და დღევანდელობის გენიოსად არის აღიარებული. თავისი მნიშვნელობით იგი ითვლება თანამედროვე საოპერო რეჟისურის ერთ-ერთ ფუძემდებლად და ნოვატორად. ის მუშაობს პროზაში და ჰოლივუდის ისეთ ცნობილ ვარსკვლავებთან, როგორიცაა ბრედ პიტი, ლედი გაგა...

ბობ უილსონმა სულ სხვანაირი სამყარო შექმნა ტრუბადურის დადგმაში. ზოგადად, ვერდის ნაწარმოებები მოითხოვს მასშტაბურ დადგმებს, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეტად ინტიმურობას გაესვა ხაზი. ეს გამოიხატა განსაკუთრებით დადგმის მინიმალიზმში, გასაკუთრებულ პერსონაჟებში და სრულიად განსხვავებულ კონცეფციაში.

საინტერესო აღმოჩნდა გრაფი ალმა ვივას გრიმი, რომელიც შემზარავიცაა და ამავე დროს საოცრად ემოციურიც. ოპერის გმირები საშინელებათა ნაწარმოებების პერსონაჟებს მოგვაგონებენ. ალმა ვივა დრაკულას, აზუჩენა კი – ფიფქიას დედინაცვალს ან თუნდაც მალეფისენტას. დადგმა სტატიურია, როგორც რეჟისორი აღნიშნავს, ამ ხერხით იგი უფრო მეტად ასმენინებს მუსიკას მაყურებელს.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა რობერტო აბბადო, მსოფლიოში განთქმული დირიჟორი, რომელიც დიდი მუსიკოსების ოჯახიდანაა. ის კლაუდიო აბბადოს ძმისშვილია, მასში შერწყმულია საუკეთესო ფასეულობები პროფესიონალიზმთან და ტალანტთან ერთად. სწორედ ფესტივალზე გადაწყდა, ჩაიწეროს სპექტაკლის დივიდი ვერსია, რომელიც სულ მალე გამოჩნდება მსოფლიო მასშტაბით მუსიკალურ მაღაზიებში და მაყურებელს საშუალება მიეცემა, ნახოს ეს გამორჩეული დადგმა.

პრემიერის დღეს ფარნეზეს ამფითეატრში, ექსკლუზიურად მოეწყო სცენა. ამფითეატრის მხოლოდ შუაგულში განთავსდა 500 სკამი და ფაქტიურად ყველა სპექტაკლი ანშლაგით გაიმართა.

მსოფლიო გენიოსის, ოპერის ყველაზე გავლენიანი, საოპერო ხელოვნების რეფორმატორის ჯუზეპე ვერდის სახელობის ფესტივალი, იტალიის ვერდის ქალაქ პარმაში, ყოველწლიურად იმართება. ტრადიციულად, ფესტივალი რამდენიმე სახელგანთქმულ სცენაზე ვითარდება: პარმის სამეფო თეატრში, ჯუზეპე ვერდის თეატრ ბუსეტოში და პარმის ფარნეზეს თეატრში. ფესტივალზე სრულდება ვერდის ცნობილი ოპერები „აიდა“, „ოტელო“, „ფალსტაფი“, „ტრავიატა“, „ჟანა დ'არკი“ და „ტრუბადური“... მასში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი და საუკეთესო ვარსკვლავები, დირიჟორები და რეჟისორები.

ფესტივალს მუდმივად დიდი გამოხმაურება აქვს მსოფლიო პრესაში. წელსაც სწორედ ასე მოხდა და რაც განსაკუთრებით საინტერესოა და სასიხარულო, ნინო სურგულაძის დებიუტი განსაკუთრებით იქნა აღნიშნული და გამოკვეთილი.

## 26 წლის მევიოლინე ვატო მაღრაძის მდგომარეობა დამძიმდა



ლეიკემიით დაავადებული 26 წლის მუსიკოსის ვატო მაღრაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა.

ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე კომაშია. იგი მკურნალობას საზღვარგარეთ გადის.

**ნატალია ყულოშვილი:**

– ვატოს ენცეფალიტი, ტვინის შეშუპება აქვს ვირუსისგან, რომელიც ჯერ ვერ გაიგეს, რა ვირუსია. ტკივილები ტანჯავდა გაუსაძლისი. ახლა კომაშია.

თათა – შეყვარებული, დედა და ძმა არიან ვატოსთან. დასტრესილები და გადამწვრები, ამიტომ მე ვწერ თათას მაგივრად. იშვიათად და არეულად მწერს... ესაა ბოლო ინფორმაცია...

მთხოვა ყველას გააგებინე და უთხარი, იფიქრონ ვატოზე და ენერგიები და პოზიტივები გამოუშვანო... სანთელი დაანთეთ ვატოსთვის და სულ კარგზე იფიქრეთო...

## დავით მაჭავარიანმა „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული რომანი შექმნა

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ის ნაწარმოებია, რომელიც საუკუნეებია მოსვენებას არ აძლევს ქართველ ხელოვანებს.

მხატვრები, ქორეოგრაფები, ანიმატორები, თეატრისა თუ კინოს რეჟისორები შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გასაცოცხლებლად სხვადასხვა საინტერესო გზებს ეძებენ.

გამონაკლისი არც დავით მაჭავარიანია. მან ნიაზ დიასამიძის და 33ა-ს მუსიკაზე „ვეფხისტყაოსნის“ გრაფიკული რომანი შექმნა და ფართო საზოგადოებას მხოლოდ პატარა ნაწყვეტი შესთავაზა.

ინტერნეტში გავრცელებულმა ვიდეომ დიდი მოწონება დაიმსახურა.



## თამთა გაბრიჩიძის ფილმი „სოვდაგარი“ გამარჯვებულია




ქართველი რეჟისორის თამთა გაბრიჩიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სოვდაგარი“ საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია.

რეჟისორის ნამუშევარმა საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის პრიზი დისქავერ ფილმ ავარდი აიღო.

„სოვდაგარი“ რეჟისორმა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტის „ტელებლოგი“ ფარგლებში გადაიღო და მისი პრემიერა პირველი არხის ეთერში 2 წლის წინ შედგა.

## ნინო ჩხეიძემ ბენდი ჩამოაყალიბა




მომღერალმა ნინო ჩხეიძემ ბენდი ჩამოაყალიბა და საკონცერტო პროგრამას მსმენელს უკვე ცოცხალი მუსიკის თანხლებით წარუდგენს.

ნინო ჩხეიძისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი მომღერლისთვის, ბენდთან მუშაობა დიდი კომფორტია, ამიტომაც მომღერალმა საუკეთესო მუსიკოსები შეკრიბა და ბენდში გააერთიანა.

ნინომ და მისი ბენდის წევრებმა უკვე მოაწყვეს სპეციალური ფოტოსესია და ფოტოები ინტერნეტში გაავრცელეს. სიახლეს ნინოს შემოქმედების მოყვარულები სიხარულით შეხვდნენ და მომღერალს შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6617 |
| ევრო | — 3.0354 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.3633 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.8909 |

## ამინდის პროგნოზი 27 დეკემბრისთვის







## 25 დეკემბრიდან

### შიო გვეტაძე
# მონანიება

თოვლიან ქუთაისში გვიან ღამით ბოროტმოქმედები ქურდავენ ტყეშელიაძის ბინას. მოულოდნელად იღვიძებს ბინის პატრონი, ქურდებთან ბრძოლას იწყებს და ერთ-ერთ ბანდიტს მძიმედ დაჭრის. ბანდიტი გარბის.

იწყება გამოძიება, რომლის დროს გამოჩნდება კანონიერი ქურდი საშკა ჩერქეზი, რომელიც მთელ იმდროინდელ საბჭოთა ქურდულ სამყაროს შიშის ზარს სცემს.

გამომძიებელი ლევან მინდელი საშკა ჩერქეზს კვალში ჩაუდგება. მათი მოულოდნელი შეხვედრა ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## ჯენიფერ ლოპესმა დევიდ კომას კაბაში იპოზიორა



მომღერალმა და მსახიობმა ჯენიფერ ლოპესმა ქართველი დიზაინერის დევით კომას იგივე დავით კომახიძის კაბაში იპოზიორა.

მსოფლიო ვარსკვლავი ერთ-ერთ წვეულებაზე ულამაზესი კაბით გამოჩნდა და ჟურნალისტებსა და პაპარაცებთან ერთად, დამსწრე საზოგადოების მოხიბვლაც შეძლო.

ბრჭყვიალა და თვალისმომჭრელი მოკლე კაბა 49 წლის ხელოვანს განსაკუთრებულად უხდებოდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## დენის სუარესი მონაკოში გადავა



ბარსელონას ნახევარმცველი დენის სუარესი კარიერას მონაკოში გააგრძელებს. მხარეები თითქმის ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და იანვარში სუარესი საფრანგეთისკენ გაემგზავრება. დენისს ბარსელონაში ძალიან ცოტა სათამაშო დრო აქვს და ამიტომ მას ამ გუნდის დატოვება სურს.

მონაკო სუარესისთვის საუკეთესო ვარიანტი არ არის, რადგან წლევანდელ სეზონს ეს გუნდი ძალიან ცუდად ატარებს და ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატში გასავარდნ ზონაში იმყოფება.

ერთი თვის წინ მონაკოს სათავეში ამ გუნდის ლეგენდა, ტიერი ანრი ჩაუდგა, მაგრამ შედეგი არ გაუმჯობესებულა.

## არტური: „მინდა, ნეიმარი ბარსელონაში დაბრუნდეს“



ბარსელონას ბრაზილიელმა ნახევარმცველმა არტურმა ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ სურს ნეიმარი ისევ ნოუ კამპზე იხილოს.

არტურის აზრით, ნეიმარი ბარსელონას ბევრ სარგებელს მოუტანს.

– ნეიმარი ჩემი მეგობარია და ის კარგი ადამიანია. ხშირად მასზე არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ. მას თავისი ცხოვრება აქვს, ამიტომ არ ვიცი, დაბრუნდება თუ არა ბარსელონაში, მაგრამ ამას ნამდვილად ვისურვებდი, – განაცხადა არტურმა.

ნეიმარმა ბარსელონა 2017 წელს დატოვა და პსჟ-ში გადავიდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ქალმა სახის დამწვრობა მიიღო და მეუღლის კანი გადაუნერგეს. ამისთვის კი ქმრის უკანალის კანი გამოიყენეს. ოპერაციის შემდეგ მომჯობინებული ქალი სარკეში ყურებით ტკბება და კმაყოფილი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო.

– არ არის საჭირო, ძვირფასო. ჩემთვის იმაზე დიდ ბედნიერება რა უნდა ყოფილიყო, როდესაც გიყურებდი, თუ როგორ გკოცნიდა ლოყებზე დედაშენი!

•••

ბანკში:

– შენ მოკვდები სიღარიბეში, სრულ მარტოობასა და ტანჯვა-წვალებაში.

– ბოდიში, რა მითხარით?

– გითხარით, რომ აი აქ მოაწერეთ ხელი და კრედიტი თქვენია.

•••

როდესაც ინდოელი ქალი თანახმაა, შუბლზე გაკეთებული წითელი წერტილი უმწვანდება.

•••

მთვრალი მამაკაცი გვიან ღამით სახლში ბრუნდება. ეზოში შესულს, თავისი ძაღლი გამოუვარდა და ყეფა დაუწყო. მამაკაცი ძაღლს ეუბნება:

– გაჩუმდი, შე სულელო, თორემ, თუ ჩემმა ცოლმა გაიღვიძა, მერე ვნახოთ, შენ სადღა დაიძინებ.

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, გძინავს?

– არა, ისე, უბრალოდ ვარ წამოწოლილი...

– ძვირფასო, მშია, რამე მაჭამე.

– მძინავს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რაა ჩვენი ცხოვრება?

– რა და ექვსი წელი სკოლამდე და სამი პენსიაზე გასვლის შემდეგ.

•••

უფროსი თანამშრომელს ეუბნება:

– სამწუხაროდ, ხელფასს ვერ მოგიმატებთ.

– არც გთხოვთ, უბრალოდ, უფრო ხშირად მომეცით...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## რაჯა ნაინგოლანი ინტერიდან მიდის




ინტერის ბელგიელი ნახევარმცველი რაჯა ნაინგოლანი იანვარში ინტერს დატოვებს. ნაინგოლანს არ სურს, ინტერში კარიერა გააგრძელოს და ინტერნეტში აუდიოჩანაწერიც გავრცელდა, სადაც ის საუბრობს ინტერიდან წასვლის შესახებ.

თვითონ მილანური გუნდიც არ არის წინააღმდეგი, რომ ნაინგოლანი გაყიდოს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, რომელ კლუბში გააგრძელებს რაჯა კარიერას.

შესაძლოა, ის რომაში დაბრუნდეს, სადაც აქამდე ასპარეზობდა.

## მანჩესტერ იუნაიტედი დუგლას კოსტაში 60 მილიონს იხდის



მანჩესტერ იუნაიტედი იუვენტუსის ბრაზილიელი ნახევარმცველით დუგლას კოსტათი დაინტერესდა და მზად არის, ამ ფეხბურთელში 60 მილიონი ევრო გადაიხადოს.

კოსტა ხშირად ვერ ხვდება იუვენტუსის ძირითად შემადგენლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდში კრიშტიანო რონალდო თამაშობს. იუვენტუსი არ არის კოსტას გაყიდვის წინააღმდეგი, მაგრამ შესაძლოა, ტურინელები 60 მილიონით არ დაკმაყოფილდნენ და მანჩესტერს უფრო მეტის გადახდა მოუწიოს.

იუვენტუსამდე დუგლას კოსტა ბაიერნის ღირსებას იცავდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მდინარე თურქეთსა და საქართველოში; 2. კუთხე საქართველოში; 3. კოსმოდრომი რუსეთში; 4. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 6. აეროპორტი მადრიდში; 8. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 11. ხევსურული ტანსაცმელი; 12. ქალაქი იმერეთში; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 17. ტროპიკული ხილი; 18. მთამსვლელთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში.

**თარაზულად:** 1. ქალაქი იმერეთში; 5. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 10. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 13. იტალიელი ფიზიკოსი, რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 15. შტატი აშშ-ში; 19. იტალიური ვერმუტი; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. წყალი მყარ მდგომარეობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*